



სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები



ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში



სურსათის უვნებლობა მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სასურსათო ბაზარზე რეალიზებულია როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული პროდუქცია, საზოგადოებაში არსებობს მაღალი ინტერესი თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქვეყანაში სურსათის უვნებლობა როგორც საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით განხორციელებული სურსათის უვნებლობის კონტროლის ღონისძიებებით.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კონტროლის სისტემის გასაუმჯობესებლად, თუმცა სისტემაში მაინც რჩება რიგი პრობლემები. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა სურსათის უვნებლობის სფეროში ისეთი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ექნება ნდობის მაღალი რეიტინგი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების

მხრიდან.

სურსათით გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები დიდია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისა და მისი ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემაში არსებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად
სახელმწიფოს მიერ განხორციელებული
ღონისძიებები**

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

30.12.2015

მიმდინარე ნომერი: 72/00

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
1. შესავალი და მოტივაცია	6
1.1 აუდიტის მიზანი და კითხვები	8
1.2 შეფასების კრიტერიუმები	9
1.3 აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია	10
1.4 ზოგადი ინფორმაცია	11
2. სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი	17
3. კონტროლის მექანიზმები (ინსპექტირება)	23
3.1 ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობს.....	23
3.2 ნაკლოვანებები ინსპექტირების განხორციელებისას	29
4. კონტროლის მექანიზმები (მონიტორინგი)	37
4.1 რისკის ანალიზის პროცესის ნაკლოვანებები	37
4.2 მონიტორინგის პროცესი.....	40
4.3 მონიტორინგისა და ინსპექტირების განხორციელების პროცესი	45
5. სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია	47
6. შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები	50
ბიბლიოგრაფია	53
დანართი N 1.....	56
დანართი N 2.....	57

შემაჯამებელი მიმოხილვა

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კონტროლის მიმართულებით. მკვეთრად გაიზარდა ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები და შესაბამისად, გაიზარდა კონტროლის მასშტაბები.

აუდიტის პერიოდში სურსათის უვნებლობის კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს წარმოადგენდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“). სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი სურსათის უვნებლობის კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო საზღვარზე სურსათის იმპორტის დროს, ხოლო სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო - ქვეყნის ტერიტორიაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სურსათის უვნებლობის კონტროლის ღონისძიებების ეფექტიანობა როგორც საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით. სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის ღონისძიებებიდან ძირითადი აქცენტი სურსათის ფიზიკურ შემოწმებასა და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის შესრულებაზე გაკეთდა, სსიპ - სურსათის უვნებლობის სააგენტოს კონტროლის ღონისძიებებიდან კი შესწავლილ იქნა კონტროლის ორი ძირითადი მექანიზმი - ინსპექტირება და მონიტორინგი.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი. აღნიშნული კონტროლი ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრული სახის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და არ მოიცავს მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს. საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად გამოვლინდა, რომ **ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ მიმდინარეობს**. საზღვარზე ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ნიმუშის აღებისა და ლაბორატორიული კვლევისათვის შემუშავებულია მონიტორინგის გეგმა, სადაც განსაზღვრულია შესამოწმებელი პროდუქტების კატეგორიები, შესამოწმებელი უვნებლობის პარამეტრები და შესაბამისი შემოწმების სიხშირეები. გარდა აღებული ნიმუშების რაოდენობისა, დარღვევები დაფიქსირდა ნიმუშების გემით განსაზღვრულ პარამეტრებზე შემოწმებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, შერჩეული ნიმუშების ანალიზით გამოვლინდა, რომ **აღებული ნიმუშები არ არის შემოწმებული ყველა იმ პარამეტრზე, რომელიც მონიტორინგის გეგმითაა განსაზღვრული**.

საზღვარზე შემოსული საქონლის განთავსება ხდება ქვეყნის შიგნით არსებულ ბაზარზე, სადაც კონტროლი ინსპექტირებისა და მონიტორინგის საშუალებით ხორციელდება.

ინსპექტირების პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ **აუდიტის პერიოდში, სააგენტოს არ გააჩნდა სრული, ზუსტი და დროული ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედ ბიზნესოპერატორებთან დაკავშირებით.** აღნიშნულმა გამოიწვია ხარვეზები ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრის პროცესში. აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ განუსაზღვრავს ბაზარზე მოქმედი ყველა ბიზნესოპერატორის რისკის დონე და შესაბამისად, არ ფლობდა სრულ სურათს მოქმედი ბიზნესოპერატორების მიერ შექმნილი რისკების შესახებ. აღსანიშნავია ასევე, რომ **აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ დაუცავს ინსპექტირების დადგენილი პერიოდულობა,** რაც ბიზნესოპერატორების შესაბამისი სიხშირით ინსპექტირებას გულისხმობს.

აუდიტით გამოვლინდა, რომ დაბალია პროდუქტიულობა ინსპექტირების განხორციელების პროცესში და არსებობს წლის განმავლობაში ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობის ორჯერ გაზრდის შესაძლებლობა. დაბალი პროდუქტიულობა ძირითადად გამოწვეულია ინსპექტირების გეგმით განსაზღვრული ინსპექტირებების რაოდენობის სიმცირით.

აუდიტის პერიოდში ხარვეზებით მიმდინარეობდა სურსათის უვნებლობის კონტროლის მონიტორინგის მექანიზმის განხორციელებაც.

აუდიტის პერიოდში სააგენტოს არ განუხორციელებია რისკების მეცნიერული შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სააგენტოს ფუნქციებში შედიოდა, არ მოუწვევია შესაბამისი მეცნიერ-ექსპერტები, ხოლო არსებული ადამიანური რესურსები რისკის შეფასების განხორციელებას ვერ უზრუნველყოფდა.

ხარვეზები გამოვლინდა მონიტორინგის პროცესში შესამოწმებელი ობიექტების შერჩევისა და ტერიტორიული გადანაწილების მიმართულებითაც. კერძოდ, მონიტორინგისთვის ობიექტების შერჩევის არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ **თბილისში მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შერჩევა ძირითადად ერთსა და იმავე რაიონში ხორციელდება.** მაშინ, როდესაც რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რიცხვი სხვადასხვა რაიონში უფრო მაღალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შემოწმება ვერ უზრუნველყოფს, რომ რაიონების მიხედვით რეგისტრირებული ბიზნეს-ოპერატორების რაოდენობა პროპორციულად იყოს მოცული.

აუდიტის პერიოდში მცირე იყო სურსათის ეტიკეტზე დატანილ ინფორმაციასთან შესაბამისობის დადგენის მიმართულებით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევებიც. კერძოდ, ეტიკეტისა და პროდუქტის შემადგენლობის შესაბამისობის დადგენა ლაბორატორიული კვლევებით მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სურსათის სახეობებზე მიმდინარეობდა.

გამოვლინდა ხარვეზები სააგენტოს მომხმარებლებთან კომუნიკაციის პროცესშიც. კერძოდ, ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ **სააგენტოში „ცხელი ხაზი“ მხოლოდ**

სამუშაო დღეებსა და საათებში მოქმედებს და არ არის გამართული „ქოლცენტრის“ სისტემა.

სააგენტოში ცხელი ხაზის გაუმართავი მუშაობა გავლენას ახდენს საფრთხის შემცველი ბიზნესოპერატორებისა და შესამოწმებელი სასურსათო პროდუქტების შერჩევაზე. შესაძლებელია სააგენტომ ვერ მიიღოს მნიშვნელოვანი რისკის შემცველი ინფორმაცია მომხმარებლისგან.

ანგარიშში განხილულია საქართველოს სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემა, ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე კი წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

1. შესავალი და მოტივაცია

ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული სურსათის უვნებლობა უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. სურსათით გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები დიდია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის არსებობა ქვეყანაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანი და შემცირდეს მასთან დაკავშირებული ხარჯები. ამასთან, სურსათის უვნებლობის საკითხები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაში უფრო აქტუალურია, რადგან სამომხმარებლო არჩევანი შეზღუდულია.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ბაზარზე რეალიზებულია როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული პროდუქცია, საზოგადოებაში არსებობს მაღალი ინტერესი და ჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქვეყანაში სურსათის უვნებლობა როგორც საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით განხორციელებული სურსათის უვნებლობას კონტროლის ღონისძიებებით. აღნიშნული საკითხის შესწავლაში აქტიურად არიან ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია.¹

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კონტროლის სისტემის გასაუმჯობესებლად, მაინც რჩება მთელი რიგი პრობლემები. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა სურსათის უვნებლობის სფეროში ისეთი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ამ კუთხით მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ექნება ნდობის მაღალი რეიტინგი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან.²


საკვებით მოშხამვის შემთხვევების რაოდენობა სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია.

სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მკვეთრად გაზრდილი აღნიშნული მაჩვენებელი. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე წარმოდგენილია ინფორმაცია სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვების მრავალწლიანი დინამიკის შესახებ.³

¹ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; www.momxmarebeli.ge.

² *სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება - საქართველოს ხელისუფლების მიერ - 2014 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება*, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, თბილისი, 2015.

³ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდემიოლოგიური ბიულეტენები.

გრაფიკი 1.1: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვის დინამიკა - 2012-2014 წლები

აღნიშნული მკვეთრი ზრდა შესაძლოა გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, დაავადებათა აღრიცხვის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებებით 2012 წელს⁴, ხოლო, მეორე მხრივ, სამკურნალო დაწესებულებებში მიმართვიანობის მკვეთრი ზრდით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლის შემდგომ, თუმცა 2013 და 2014 წლებს შორის დაავადებათა მკვეთრი ზრდის მიზეზი მაინც გაურკვეველია. აღნიშნული დინამიკა საყურადღებოა და დამატებით მოტივაციას ქმნის სახელმწიფოს მიერ სურსათის უვნებლობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შესასწავლად.

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მეტი აქტუალობა შესძინა საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს კონტროლის განმახორციელებელი კვალიფიციური ორგანოების არსებობას ქვეყანაში, რათა შესაძლებელი გახდეს ქართული სასურსათო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში.

ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების განსახორციელებლად შექმნილია „საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობაში“. პროგრამაში გაწერილია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები, რომლებიც სრულყოფილად ვერ ხორციელდება და ყოველწლიურად ხდება გადავადება.

⁴ საკვებისმიერი მოშხამვის კატეგორიის დაემატა დაავადებათა ახალი კოდები.

1.1 აუდიტის მიზანი და კითხვები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემაში არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტის მთავარ პრობლემად მიიჩნევს სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის დაბალ ეფექტიანობას. სისტემის შესწავლისას გამოვლინდა ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს იმპორტირებული და ქვეყანაში წარმოებული სურსათის უვნებლობის არასათანადო კონტროლზე. აუდიტის მიზანია დაადგინოს რამდენად ეფექტიანია იმპორტირებული და ქვეყანაში წარმოებული სურსათის უვნებლობის კონტროლი, ასევე კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოსა და მომხმარებელს შორის არსებული კომუნიკაციის შეფასება.

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში მოიცავს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენად ეფექტიანია საზღვარზე სურსათის უვნებლობის კონტროლი?
2. რამდენად ეფექტიანია სურსათის უვნებლობის კონტროლის ინსპექტირების მექანიზმი?
3. რამდენად ეფექტიანია სურსათის უვნებლობის კონტროლის მონიტორინგის მექანიზმი ?
4. რამდენად კოორდინირებულია მომხმარებელთან კომუნიკაცია?

აუდიტის ობიექტს წარმოადგენს:

- › სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი;
- › სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად და აუდიტის კითხვებზე პასუხების გასაცემად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა აუდიტორული პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესწავლილ იქნა სურსათის უვნებლობის კონტროლთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურები და პროცესები.

1.2 შეფასების კრიტერიუმები

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის პროცესში კრიტერიუმად განისაზღვრა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- › სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, 2012;
- › „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილება;
- › „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება;
- › „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება;
- › „ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება;
- › სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულება;
- › სსიპ - შემოსავლების სამსახურის ბრძანება, ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმის დამტკიცების თაობაზე;
- › სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლითაც რეგულირდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი.
- › სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელოები.

აუდიტის პროცესში კრიტერიუმად განსაზღვრული ნორმატიული აქტების ანალიზით გამოიკვეთა სურსათის უვნებლობის ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნები და მათ მისაღწევად არსებული მექანიზმები.

ეფექტიანი კონტროლის მისაღწევად არსებული მექანიზმებია:⁵

1. ერთნაირი მიდგომები კონტროლის განხორციელებისას და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
2. კონტროლის მდგრადობა და უწყვეტობა;

⁵ ევროკავშირის 2004 წლის 882/2004 რეგულაცია.

3. კონტროლის ობიექტის ეფექტური, რისკზე დაფუძნებული შერჩევა;
4. შეუსაბამობის აღმოჩენის საიმედო დონე;
5. აღმოჩენის შემთხვევაში - შეუსაბამობის აღმოფხვრა.

ეფექტიანი კონტროლი სწორი მექანიზმების დანერგვითა და მართვით მიიღწევა. სურსათის უვნებლობის კონტროლი ეფუძნება რისკის ანალიზს, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან: რისკის შეფასება, რისკის მართვა და რისკის კომუნიკაცია. რისკის ანალიზის ეფექტიანად განსახორციელების მიზნით, მაკონტროლებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს სრული და ოპერატიული ინფორმაცია სურსათის სფეროში არსებული ბიზნეს-ოპერატორებისა და სასურსათო ბაზარზე არსებული პროდუქტების შესახებ. სახელმწიფო კონტროლმა სურსათის უვნებლობა რისკიანი პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმებითა და სურსათის სანდო ეტიკეტირებით უნდა უზრუნველყოს. ეფექტიანი მონიტორინგის კონტროლის გეგმა უნდა მოიცავდეს ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ საფრთხეებს. მათ შორის ისეთ საფრთხეებს, რომელთაც გრძელვადიანი კუმულაციური ეფექტი აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე.⁶

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ქვეყნის მასშტაბით 2013 - 2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის პერიოდში სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ გატარებული კონტროლის ღონისძიებები.

1.3 აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია

აუდიტის ძირითად კითხვებზე პასუხის გასაცემად განხორციელდა *სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსა და საბაჟო დეპარტამენტის სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს* საქმიანობის შესწავლა. სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობიდან აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სურსათის უვნებლობის კონტროლის ორი ძირითადი მექანიზმი: ინსპექტირება და მონიტორინგი.

შერჩევით შემოწმდა 2013 - 2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ინსპექტირებისა და ლაბორატორიული კვლევის აქტების საერთო რაოდენობის 10%, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის მიერ შედგენილი ლაბორატორიული აქტების - 5%.

დოკუმენტური შემოწმების გარდა აუდიტის ჯგუფმა ასევე გამოიყენა აუდიტორული პროცედურების სხვადასხვა მეთოდები:


- › სურსათის უვნებლობის კონტროლის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა და მოქმედი კანონმდებლობის თანხვედრის ანალიზი;
- › მოწოდებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი;

⁶ საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, 2012.

- › ინტერვიუები;
- › სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირებისა და მონიტორინგის ჯგუფების მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე დაკვირვება;
- › ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;
- › სხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით ჩატარებული აუდიტების ანალიზი და საუკეთესო გამოცდილების შესწავლა;
- › სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაანალიზების მიზნით.

1.4 ზოგადი ინფორმაცია

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მართვის სტრუქტურა:



სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს საზღვარზე სურსათის უვნებლობის კონტროლს. აღნიშნული მიზნით საბაჟო დეპარტამენტში არსებობს სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველო, რომლის 12 საბაჟო გამშვებ პუნქტსა და ცენტრალურ აპარატში 2015 წლის მაისის თვის მდგომარეობით დასაქმებულია 103 თანამშრომელი.

საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კონტროლი ხორციელდება ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო წესების შესაბამისად,⁷ რაც განსაზღვრავს ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის პროცედურებს.

საზღვარზე კონტროლის პროცედურები მოიცავს:

- › დოკუმენტურ შემოწმებას;
- › იდენტიფიკაციის შემოწმებას;
- › მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლს;
- › ფიზიკურ შემოწმებას:
 - ფიზიკური, ქიმიური ტესტირება (გაჭრა/გადნობა/გაცხელება);
 - ორგანოლექტიკური შემოწმება (სუნი, ფერი, სიმკვრივე და ა.შ.);
 - ტრანსპორტირების პირობების შემოწმება (ტემპერატურული რეჟიმი);
 - ნიმუშის აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის.
- › ცოცხალი ცხოველების კლინიკურ შემოწმებას.

აღნიშნული დადგენილებით ფიტოსანიტარული კონტროლი მიმართულია მხოლოდ მავნე ორგანიზმების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების წინააღმდეგ. შესაბამისად, მცენარეული სურსათი უვნებლობაზე ლაბორატორიულ კონტროლს არ ექვემდებარება. რაც შეეხება ვეტერინარულ კონტროლს, შემოწმება მოიცავს როგორც საკარანტინო, ასევე ცხოველური პროდუქტების უვნებლობის პარამეტრებზე ლაბორატორიულ კვლევას.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე უვნებლობის კონტროლი ლაბორატორიული კვლევით არ ხორციელდება სურსათის იმ კატეგორიებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული დადგენილებით⁸ (მაგალითად: წვენები, უალკოჰოლო სასმელები, დაფასოებული ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი).

ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის გარდა, ხორციელდება იმპორტირებულ სურსათად განკუთვნილ გენმოდირეცირებულ ორგანიზმებსა და მათგან წარმოებულ გენმოდირეცირებულ პროდუქტებზე საბაჟო კონტროლი,⁹ რომელიც მოიცავს სამ პროცედურას:

- › ეტიკეტირების წესებთან შესაბამისობის დადგენა;
- › დოკუმენტების შემოწმება;
- › ნიმუშის აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის.

⁷ „ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება.


⁸ „ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება;

⁹ „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდირეცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდირეცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის N221 ბრძანება.

სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით განსახორციელებლად ფუნქციებს სააგენტოში ახორციელებს: სურსათის დეპარტამენტი, სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი, აგრეთვე სააგენტოს თბილისის და 11 რეგიონალური სამმართველო.

გრაფიკი 1.4.1: სურსათის უვნებლობის კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები



სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად სააგენტოში დასაქმებულია 81 ინსპექტორი და 56 სპეციალისტი, რომლებიც გადანაწილებული არიან 12 რეგიონულ სამმართველოსა და კონტროლის დეპარტამენტში. სააგენტო კონტროლის განხორციელებისათვის იყენებს სახელმწიფო კონტროლის ხუთ მექანიზმს:

- › ინსპექტირება;
- › მონიტორინგი;
- › ზედამხედველობა;
- › დოკუმენტური შემოწმება;


- › ნიმუშის აღება.

ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპების ცალკეული ასპექტების გამოკვლევა ბიზნესოპერატორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და რომელიც მოიცავს:

- › ბიზნესოპერატორის საქმიანობის შემოწმებას სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;
- › დოკუმენტურ შემოწმებას;
- › დადგენილი წესით ნიმუშის აღებას და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარებას.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე წარმოდგენილია ინსპექტირების პროცესი.

სქემა 1.4.2: ინსპექტირების პროცესის სქემა



ინსპექტირება ორგვარია: გეგმური და არაგეგმური. გეგმური ინსპექტირების განხორციელებისათვის სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა რისკის დონის განსაზღვრის 4 კრიტერიუმი: I - გადამამუშავებული სურსათი, II - საქმიანობის ტიპი, III - ბიზნესოპერატორის წინა წლის ბრუნვა ლარებში, IV- ბიზნესოპერატორის ისტორია.

თითოეული კრიტერიუმი ჩაშლილია კომპონენტებად, რომელთაც შეესაბამება განსაზღვრული ქულა. რისკის შეფასების შედეგად ბიზნესოპერატორს, თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად, ენიჭება ქულა. მინიჭებული ქულების დაჯამებით გაისაზღვრება ბიზნესოპერატორის შემოწმების პრიორიტეტულობა.

არაგეგმური ინსპექტირების განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს: სახელმწიფო კონტროლის შედეგები, მათ შორის, მონიტორინგის დროს აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები, თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინება და ა.შ.¹⁰

ინსპექტირების დროს ხდება ბიზნესოპერატორების სურსათის უვნებლობის სფეროში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. არსებობს ორი სახის შეუსაბამობა: არაკრიტიკული და კრიტიკული. ბიზნესოპერატორთან კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, საწარმოო პროცესი ექვემდებარება შეჩერებას შეუსაბამობის გამოსწორებამდე, ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორს ეძლევა გონივრული ვადა შეუსაბამობების გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხდება ბიზნესოპერატორის გადამოწმება.


მონიტორინგი

სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება პროდუქტის უვნებლობის მაჩვენებლებზე შემოწმება ნიმუშის აღების გზით. გარდა ნიმუშის აღებისა, მონიტორინგის სპეციალისტები ატარებენ ბიზნესოპერატორის დოკუმენტურ შემოწმებას, რეაგირებენ მომხმარებლისგან შემოსულ საჩივრებზე და ზედამხედველობას უწევენ ვადაგასული სურსათის განადგურებას. დოკუმენტური შემოწმების დროს მიმდინარეობს პროდუქტის ვარგისიანობის ვადების დადგენა და ეტიკეტის შემოწმება. მონიტორინგის წლიური გეგმით განისაზღვრება შესამოწმებელი სურსათის ტიპები, შესამოწმებელი უვნებლობის პარამეტრები და ასაღები ნიმუშების რაოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.


ქვემოთ მოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია მონიტორინგის პროცესი. როგორც სქემიდან ჩანს, მონიტორინგის პროცესში ხდება სასურსათო ბაზრის მზა პროდუქციის შემოწმება. აღნიშნული შემოწმება შესაძლოა იყოს მხოლოდ დოკუმენტური, ლაბორატორიული ან ორივე ერთად. მონიტორინგის პროცესში შემოწმებას ექვემდებარება როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული პროდუქცია.

¹⁰ „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება.

სქემა 1.4.3: მონიტორინგის პროცესის სქემა



2. სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი



საზღვარზე სურსათის უვნებლობის კონტროლის ნაკლოვანებები

სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფოს უფლება-მოვალეობაა კონტროლი განახორციელოს როგორც ქვეყნის საზღვარზე, ასევე მის ტერიტორიაზე.¹¹

სურსათის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის¹² შესაბამისად, სასაზღვრო კონტროლი ვრცელდება ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ პროდუქტებზე. როგორც უკვე აღინიშნა, მცენარეული სურსათი უვნებლობის პარამეტრებზე ლაბორატორიულ კვლევას არ ექვემდებარება. შესაბამისად, უვნებლობის კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცხოველურ პროდუქტებზე.¹³

საბაჟოზე იმპორტირებული სურსათი შემოწმების რამდენიმე პროცედურას მოიცავს (დოკუმენტური, იდენტიფიკაცია, ფიზიკური შემოწმება), თუმცა უვნებლობის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი პროცედურაა ლაბორატორიული კვლევა უვნებლობის პარამეტრებზე, რომელიც ფიზიკური შემოწმების ერთ-ერთი კომპონენტია.

¹¹საქართველოს კანონი, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, 2012, მუხლი 19.

¹²„ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს მთავრობის 31 დეკემბრის N429 დადგენილება.

¹³„ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“, საქართველოს მთავრობის 31 დეკემბრის N429 დადგენილება. თავი 2, მუხლი 12.

სურსათის უვნებლობაზე ლაბორატორიული კვლევა ვრცელდება მხოლოდ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ცხოველურ პროდუქტებზე.

ვეტერინარული კონტროლის განხორციელების მიზნით, *სსიპ - შემოსავლების სამსახურის* მიერ მტკიცდება რისკზე დაფუძნებული, *სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან* შეთანხმებული ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმა, რომლის შედგენისას გათვალისწინებულია:

- › წინა წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები;
- › იმპორტისათვის განკუთვნილი საქონლის მწარმოებელსა და წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებული გამოვლენილი რისკები;
- › სწრაფი განგაშის სისტემის საინფორმაციო ბაზა (RASFF). გეგმაში განსაზღვრულია შესამოწმებელი პროდუქტების კატეგორიები,¹⁴ ნიმუშების აღების სიხშირე და შესამოწმებელი პარამეტრები.

ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმით, საზღვარზე ტვირთების შერჩევის სიხშირე ფიზიკური შემოწმებისა და ნიმუშის აღების მიზნით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი სახის ზოგად პრინციპებს:

- › ფიზიკური შემოწმება და ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული ნიმუშის რაოდენობა დამოკიდებულია სასაქონლო კატეგორიასა და წარმოშობის ქვეყანაზე;
- › ფიზიკური შემოწმება და ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს ისე, რომ დეკლარანტისათვის შეუძლებელი იყოს წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი კონკრეტული სასაქონლო პარტია დაექვემდებარება შემოწმებას;
- › შემოწმებისა და ნიმუშის აღების გეგმა უნდა იყოს უწყვეტი და დროში თანაბრად გადანაწილებული.

ლაბორატორიული კვლევისათვის შერჩეული ნიმუშები, თუ რომელ მაჩვენებელზე (მიკრობიოლოგიური¹⁵ და ქიმიური¹⁶) უნდა შემოწმდეს ისინი, განისაზღვრება სასაქონლო კატეგორიების მიხედვით.¹⁷ შესაბამისად, ერთნაირი სახეობის პროდუქტები უნდა შემოწმდეს ერთსა და იმავე მაჩვენებლებზე. ლაბორატორიული კვლევისთვის ნიმუშები იგზავნება საქართველოს სხვადასხვა აკრედიტებულ ლაბორატორიებში.

2013 წლიდან 2015 წლამდე მონიტორინგის გეგმამ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. 2013 წელს მონიტორინგის გეგმაში განსაზღვრული იყო ასაღები ნიმუშების კონკრეტული რაოდენობა სასაქონლო კატეგორიებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების მიხედვით. 2014

¹⁴ იხ. დანართი N1 (ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტები).

¹⁵ მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები - სალმონელა, ლისტერია, ნჩჯ კოლიფორმები, მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობული მიკროორგანიზმები, S.aureus, Proteus.

¹⁶ ქიმიური მაჩვენებლები - ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, კადნიუმი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები, ჰექსაქლორციკლოპექსანი, დ.დ.ტ. და მისი მეტაბოლიტები.

¹⁷ ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმა.

წლის ოქტომბრამდე ვეტერინარი გადაწყვეტილებას იღებდა ინდივიდუალურად, თუ რომელი სასაქონლო პარტიიდან რამდენი ნიმუშის აღება მოხდებოდა. 2014 წლის ოქტომბრიდან თითოეულ სასაქონლო კატეგორიაზე, პროგრამულად განისაზღვრა ნიმუშების აღების პროცენტული სიხშირე და შესამოწმებელი პარამეტრები. რისკის შეფასების საფუძველზე, რომელი სასაქონლო პარტია უნდა დაექვემდებაროს ნიმუშის აღებას და რა სახის ლაბორატორიული კვლევა უნდა ჩატარდეს, შერჩევას აკეთებს სპეციალური პროგრამა, იმპორტის პროპორციული სიხშირიდან ავტომატურად. აქვე აღსანიშნავია, რომ ვეტერინარს დარჩა უფლება, ფიზიკური დათვალიერების შედეგად, დამატებით ან რიგგარეშე, ეჭვის საფუძველზე შეადგინოს ნიმუშის აღების ოქმი და გააგზავნოს შესამოწმებლად ლაბორატორიაში.

გეგმით განსაზღვრული შესამოწმებელი ნიმუშების სიხშირე

მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ნიმუშების რაოდენობა და შესამოწმებელი პარამეტრები შედარდა საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ფაქტობრივ მონაცემებთან.

ანალიზით ირკვევა, რომ 2014 წელს ელექტრონული პროგრამის ამოქმედებამდე ნიმუშის აღების 44%-იანი შეუსრულებლობა აღინიშნა. რაც შეეხება ელექტრონული პროგრამის მოქმედების პერიოდს, 2014 წელს 23%-იანი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 17%-იანი სხვაობა დაფიქსირდა. *აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით არ მიმდინარეობს.*

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წელი ორ ნაწილად იყოფა. ოქტომბრამდე ნიმუშების აღებას ვეტერინარი ახდენდა ინდივიდუალურად, ხოლო ოქტომბრიდან ამოქმედდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც შერჩევა იყო უწყვეტი და დროში თანაბრად გადანაწილებული. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზი პირველ შემთხვევაში, ასაღები ნიმუშების რაოდენობის ვეტერინარის მიერ დროში არასწორი გადანაწილებაა. ხოლო მეორე შემთხვევაში (ელექტრონული პროგრამის პერიოდი), მიზეზად პროგრამული ხარვეზი უნდა დასახელდეს, რომლის მუშაობის ხარისხზე პერიოდული მონიტორინგი არ მიმდინარეობს და დროულად არ ხდება პრობლემის იდენტიფიცირება.

ცხრილი 2.1: მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული და ფაქტობრივად აღებული ნიმუშების შედარება წლების მიხედვით¹⁸

საბაჟო გამშვები პუნქტი	2014 წლის 9 თვე			2014 წლის 3 თვე				2015 წლის 6 თვე			
	იმპორტი (პარტია)	გეგმა (9 თვის პროპორციით)	ფაქტი (ერთეული)	იმპორტი (სასაქონლო კატეგორიები ს მიხედვით)	გეგმა	ფაქტი (ერთეული)		იმპორტი (სასაქონლო კატეგორიები ს მიხედვით)	გეგმა	ფაქტი (ერთეული)	
						პროგრამა	ვეტერინარის გადაწყვეტილება			პროგრამა	ვეტერინარის გადაწყვეტილება
აეროპორტი	254	43	15	427	31	25	1	563	49	31	1
ბათუმის პორტი	248	29	20	108	19	22	-	525	87	79	4
ვალე	43	2	6	6	2		-	4	2	2	
ნინოწმინდა	32	2	1	76	6	5	-	67	5	4	
სადახლო	47	8	-	63	4	3	-	99	7	8	2
სარფი	983	194	116	1,241	215	170	6	1,519	247	204	32
ფოთის პორტი	1838	221	144	1,089	137	94	1	2,000	233	205	6
ყაზბეგი	229	28	6	275	54	39	4	359	74	50	1
წითელი ხიდი	112	31	6	27	5	8	3	49	10	12	8
გარდაბანი	5	-	-	-	-	-	-	2	0		
ლაგოდეხი	-	-	-	-	-	-	-	-	-		
ქუთაისი	2	-	-	-	-	-	-	-	-		
სულ:	3,793	557	314	3,312	473	366	15	5,187	715	595	54

¹⁸ იმპორტის გრაფაში მოცემული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული სასაქონლო კოდებით შემოსულ საქონელს.

ნიმუშების არასრულ პარამეტრებზე შემოწმება

როგორც აღინიშნა, ერთნაირი სახეობის სურსათის ნიმუშებისთვის განსაზღვრულია ერთნაირ მაჩვენებლებზე შემოწმება. ნიმუშები შესამოწმებლად იგზავნება სხვადასხვა აკრედიტებულ ლაბორატორიებში. თუმცა, აქტების დოკუმენტური შემოწმებიდან აღმოჩნდა, რომ ერთი და იმავე სახეობის პროდუქტები ზოგ შემთხვევაში ყველა პარამეტრზე მოწმდება, ზოგ შემთხვევაში - ნაწილზე. მაგალითად, სსიპ - ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში ერთი და იმავე სახეობის 33 ნიმუშიდან 13 არ არის გაგზავნილი ყველა პარამეტრზე შესამოწმებლად.¹⁹ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ:

აღებული ნიმუშები არ არის სრულად შემოწმებული ყველა იმ პარამეტრზე, რომლებიც მონიტორინგის გეგმით არის განსაზღვრული.

აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად საბაჟო დეპარტამენტი ლაბორატორიის შეზღუდულ შესაძლებლობებს ასახელებს. თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა, ერთსა და იმავე ლაბორატორიაში ნიმუშების შესამოწმებლად გაგზავნა ხან ყველა პარამეტრზე ხდება, ხან მხოლოდ გარკვეულ მათგანზე, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიას აქვს მოთხოვნილ პარამეტრზე შემოწმების რესურსი.

ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ პროდუქტების ლაბორატორიული შემოწმებისთვის 2013-2015 წლებში განსაზღვრული თანხის (863,371 ლარი) სრულად ათვისება არ მომხდარა (იხ. ცხრილი N 2.2).

ცხრილი 2.2: ლაბორატორიული მომსახურების სახელშეკრულებო თანხისა და ფაქტობრივად ათვისებული მონაცემების შედარება 2013-2015 (6 თვე) წლები

წელი	სახელშეკრულებო თანხა (ლარი)	ათვისებული თანხა (ლარი)	აუთვისებელი თანხა (%)
2013	179,068	150,965	16 %
2014	262,042	102,861	61 %

ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრული გეგმის შეუსრულებლობა ზრდის ქვეყანაში მავნე სურსათის შემოდგომის რისკს,²⁰ ხოლო აღებული ნიმუშების არასრულ პარამეტრებზე შემოწმება ვერ უზრუნველყოფს პროდუქტის უვნებლობას.

¹⁹ იხ. დანართი N2, (აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩეული ლაბორატორიული აქტების დოკუმენტური ანალიზი).

²⁰ საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი - კვირა, “საქართველოში 129 ტონა ქათმის ფარში მომხმარებელთა სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდა”, 5 ოქტომბერი 2015, www.kvira.ge.

დასკვნა

საბაჟო დეპარტამენტის მიერ კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებამ, რაც გულისხმობს ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლას, გაზარდა ნიმუშების აღების სიხშირე და უზრუნველყო მათი დროში თანაბრად გადანაწილება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიმუშების აღება მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული რაოდენობით არ ხდება, ხოლო აღებული ნიმუშებიდან ერთი და იმავე სახეობის პროდუქტები ზოგ შემთხვევაში ყველა პარამეტრზე არ მოწმდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საზღვარზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების გარდა, სურსათის სხვა კატეგორიებზე უვნებლობის პარამეტრებზე ლაბორატორიული კვლევა არ მიმდინარეობს.


მიუხედავად სურსათის უვნებლობის კონტროლის მხრივ განხორციელებული ღონისძიებებისა, რომელიც გულისხმობს საქონლის დოკუმენტურ, იდენტიფიკაციას და ფიზიკურ შემოწმებას, სურსათის უვნებლობის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია ნიმუშის აღება ლაბორატორიული კვლევისთვის. ლაბორატორიული შემოწმების გარეშე, ფიზიკური დათვალიერებით შეუძლებელია საქონლის უვნებლობის პარამეტრების დადგენა.

რეკომენდაციები:

- › სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ პერიოდულად განხორციელდეს გეგმის შესრულების მონიტორინგი, რათა საზღვარზე შემოსული საქონელი შემოწმდეს გეგმით განსაზღვრული სიხშირით.
- › მოხდეს ნიმუშების შემოწმება რისკის ანალიზით განსაზღვრულ ყველა პარამეტრზე.

სურსათის უვნებლობის კონტროლი ქვეყნის ბაზარზე

3. კონტროლის მექანიზმები (ინსპექტირება)



3.1 ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობს

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებების სწორად დაგეგმვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათთან დაკავშირებული რისკის ანალიზის პროცედურის დაცვა. **რისკის ანალიზი** წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საკვებთან დაკავშირებული საფრთხის შემცველობის ალბათობის დადგენის საშუალებას და შედეგადად სამი კომპონენტისაგან, ესენია:

- › რისკის შეფასება;
- › რისკის მართვა;
- › რისკის კომუნიკაცია.

რისკის შეფასების მიზანია მოხდეს სურსათის სფეროში ბიზნესოპერატორების მიერ შექმნილი რისკების შეფასება ქვეყნის დონეზე, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს შეფასებული რისკების მართვისათვის საჭირო ღონისძიებები და ასევე მოხდეს გამოვლენილი რისკების შესახებ კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

ინსპექტირებისთვის რისკის ანალიზის პროცედურები 2015 წლამდე სურსათის კოდექსითა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით ²¹, ხოლო 2015 წლიდან მთავრობის

²¹ „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N2-143 ბრძანება.

დადგენილება²² „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვის რისკის კომუნიკაციის პროცედურებით“ რეგულირდება.

ინსპექტირებისას რისკის შეფასების პროცედურები მოიცავს შესასწავლი ბიზნესოპერატორების ტიპის პრიორიტეტების განსაზღვრას (მაგალითად, დასაგეგმ პერიოდში აქცენტი კეთდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, სასაკლაოებზე და სხვ.), მათ კლასიფიკაციას რისკის დონის მიხედვით და შესაბამისი ინსპექტირების სიხშირის განსაზღვრას თითოეულ კატეგორიაში. აღნიშნული პროცედურის არსებობა და შესაბამისი ინსპექტირების სიხშირის დაცვა კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.²³

სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს გააჩნდეს სრული, ზუსტი და ოპერატიული ინფორმაცია სურსათის სფეროში მოქმედ ბიზნესოპერატორებთან დაკავშირებით.²⁴

3.1.1 აუდიტის პერიოდში სააგენტო არ ფლობდა სრულ ინფორმაციას ბიზნესოპერატორებზე და არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ ახდენდა ყველა ოპერატორის რისკის დონის განსაზღვრას

სურსათის ეროვნულ სააგენტოში ინსპექტირებისთვის რისკის ანალიზის პროცედურებს სურსათის დეპარტამენტში შემავალი რისკის ანალიზის სამმართველო ახორციელებს. აღნიშნული სამმართველო რისკის ანალიზისა და გეგმური ინსპექტირებისათვის ბიზნესოპერატორთა შერჩევის პროცესში ეყრდნობა ყოველი წლის დასაწყისში, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამას, რომლის შემუშავებაც სააგენტოს მიერ ხორციელდება ყოველწლიურად. აღნიშნულ პროგრამაში ხდება წლის განმავლობაში შესარჩევი ბიზნესოპერატორების რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმების დადგენა, შესამოწმებელი ბიზნესოპერატორების ტიპების პრიორიტეტების განსაზღვრა და არსებული რესურსების გათვალისწინებით გეგმური ინსპექტირებების რაოდენობის დადგენა.

მაგალითად, 2014 წელს ბიზნესოპერატორთა რისკის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა 4 კომპონენტი:

1. გადამუშავებული სურსათი (ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სურსათი) - მაქსიმალური ქულა 35.
2. საქმიანობის ტიპი (მაგალითად: წარმოება, გადამუშავება, ცხოველთა დაკვლა,

²² „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის N605 დადგენილება.

²³ Model core program paper: Food Safety, British Columbia Ministry of Health, 2006 .

²⁴ Model core program paper: Food Safety, British Columbia Ministry of Health, 2006 .

საზოგადოებრივი კვება და ა. შ.) - მაქსიმალური ქულა 10.

3. წარმადობა (ბიზნესოპერატორის წინა წლის ბრუნვა ლარებში) - მაქსიმალური ქულა 25.
4. ბიზნესოპერატორის ისტორია (შემოწმდა თუ არა წინა პერიოდებში ბიზნესოპერატორი, დაფიქსირდა თუ არა დარღვევა, შემოვიდა თუ არა შეტყობინება RASFF²⁵-დან) - მაქსიმალური ქულა 30.

აღნიშნული კრიტერიუმების დაჯამებით მიღებული ბიზნესოპერატორის მაქსიმალური ქულა შეადგენს 100-ს. ბიზნესოპერატორები დაიყო 3 კატეგორიად: მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის დონეების დიფერენცირება მოხდა შემდეგნაირად:

- ა) მაღალი -80 ქულიდან;
- ბ) საშუალო - 60-დან 80 ქულამდე;
- გ) დაბალი -60 ქულამდე.

კონტროლის პროგრამის მიხედვით გეგმური ინსპექტირებების 60% უნდა განხორციელდეს მაღალი რისკის, ხოლო 30% და 10% - შესაბამისად, საშუალო და დაბალი რისკის ბიზნესოპერატორებთან.

პირველი და მეორე კომპონენტით ბიზნესოპერატორთა შეფასება ხდება საჯარო რეესტრიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მესამე კომპონენტით - შემოსავლების სამსახურის, ხოლო მეოთხე კომპონენტით - წინა წლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე.

წლის დასაწყისში, სურსათის ეროვნული სააგენტო საჯარო რეესტრიდან იღებს დარეგისტრირებული ბიზნესოპერატორების მონაცემთა ბაზას. საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (EXCEL-ის ცხრილით) ეგზავნება შემოსავლების სამსახურს, რომელიც მესამე კომპონენტით შეფასებულ ბაზას უკან უბრუნებს სააგენტოს.

საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებულ ბაზაში მოცემულია ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემები, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სახე და სურსათის სფეროში ბიზნესოპერატორად დარეგისტრირების თარიღი. საქმიანობის სახის შესახებ ინფორმაცია ივსება თვითონ მეწარმის მიერ ბიზნესოპერატორად დარეგისტრირების დროს. ხშირია შემთხვევები, როდესაც რეესტრის მიერ მოწოდებულ ბაზაში მითითებულია მრავალი განსხვავებული საქმიანობა (მაგალითად, ბიზნესოპერატორს შესაძლოა საქმიანობის ველში ერთდროულად მითითებული ჰქონდეს: მესაქონლეობა, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობა, ალკოჰოლური სასმელების წარმოება და სხვ.), რომელთაგან ბიზნესოპერატორი რეალურად ახორციელებს მხოლოდ ერთ საქმიანობას, ხოლო დანარჩენებს უთითებს მომავალში რომელიმე საქმიანობის დამატების მიზნით. ასევე, ბაზაში მოცემულია ისეთი კატეგორიის ბიზნესოპერატორები, რომელთა საქმიანობის ველი ცარიელია ან მითითებულია „სხვა“, რაც ვერ იძლევა საქმიანობის სახის ზუსტად იდენტიფიცირების საშუალებას. ზემოაღნიშნული ბიზნესოპერატორების წილმა

²⁵ სწრაფი განგაშის სისტემა.

2013 წელს მთლიანი ბაზის 18%, 2014 წელს - 17%, ხოლო 2015 წელს - 14% შეადგინა. ზემოთქმულიდან გამომდინარე საჯარო რეესტრის სააგენტოს ბაზაზე დაყრდნობით რთულია ბიზნესოპერატორის საქმიანობის სახისა და წარმოებული/გადამუშავებული სურსათის ტიპის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება. აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ოპერატიულად არ იღებს ინფორმაციას ბიზნესოპერატორის დაკეტვის/პროფილის შეცვლის შესახებ, რის გამოც მას წლის მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი მოქმედი ბიზნესოპერატორია ბაზარზე. აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ 2014 წელს სამმართველოს მიერ შერჩეული 2,602 ოპერატორიდან 432 (17%) დაკეტილი აღმოჩნდა ან პროფილი ჰქონდა შეცვლილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სრულად არ ფლობს რისკის დონის განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციას ყველა ბიზნესოპერატორზე, ხოლო სააგენტოს მიერ ბიზნესოპერატორთა პირველ და მეორე კომპონენტში რისკის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებული ინფორმაცია არაზუსტი და არასაიმედოა.

რისკის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებული ინფორმაციის დაბალი ხარისხი იწვევს იმას, რომ არსებული მეთოდით განსაზღვრული რისკის დონეები ხშირად რეალობას არ ასახავს და, შესაბამისად, რისკის მართვის ღონისძიებების ეფექტიანობა მცირდება.

სააგენტოს განმარტებით, აუდიტის პერიოდში დაიწყო ბიზნესოპერატორთა ბაზების დაზუსტება. რეგიონულ სამმართველოებს მიეცათ მითითებები, რათა განეხორციელებინათ საკუთარ რეგიონებში განთავსებული ბიზნესოპერატორების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება კარდაკარის პრინციპით. 2015 წლის ნოემბრისათვის ბიზნესოპერატორთა რაოდენობა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია დაზუსტდა, შეადგენდა დაახლოებით 20,000-ს. დაზუსტებული მონაცემების შეყვანა ხორციელდება სპეციალურ პროგრამაში.

აგრეთვე, სააგენტოს განმარტებით, მომავალში ინფორმაციის სიზუსტისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ცვლილებების კანონპროექტი სურსათის კოდექსში, რომლის მიხედვითაც ბიზნესოპერატორებს ექნებათ ვალდებულება, დარეგისტრირდნენ ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში და საქმიანობის პროფილის შეცვლის შესახებ პერიოდულად განაახლონ ინფორმაცია აღნიშნულ რეესტრში.

მიუხედავად ქულების მინიჭებისათვის გამოყენებული ინფორმაციის დაბალი ხარისხისა, სააგენტოს საშუალება აქვს, განახორციელოს რისკის დონის განსაზღვრა იმ ბიზნესოპერატორებისათვის, რომელთა შესახებაც ფლობს სრულ ინფორმაციას ოთხივე კომპონენტში. აღნიშნული ბიზნესოპერატორები შეაფასოს ქულებით და შემდეგ შეარჩიოს წლიური გეგმით განსაზღვრული შესამოწმებელი რაოდენობა.

ცხრილი 3.1.1: ბიზნესოპერატორების შესაფასებელი ბაზის მონაცემები 2013 – 2014 წლებში

წელი	საჯარო რეესტრის ბაზა	შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული ქულა (მე- 3 კომპონენტი)	სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულა (1-ლი, მე-2 და მე-4 კომპონენტი)	რისკის დონის განსაზღვრის გარეშე დარჩენილი ბიზნესოპერატორები
2013	28,035	24,541	772	97%
2014	65535	27527	2602	90%

ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ ოთხივე კომპონენტით შეფასებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტომ 2013 და 2014 წლებში ბიზნესოპერატორებისთვის ქულების მინიჭება და რისკის დონის განსაზღვრა განახორციელა ბაზაში არსებულ ბიზნესოპერატორთა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის (იხ. ცხრილი 3.1.1). იმ ბიზნესოპერატორებიდან, რომელთა შესახებაც სააგენტოს გააჩნდა სრული ინფორმაცია ოთხივე კომპონენტში, 2013 წელს ქულების მინიჭება მოხდა მხოლოდ 3%-თვის, ხოლო 2014 წელს - 10%-სთვის. სააგენტომ აარჩია ბიზნესოპერატორთა მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც გეგმით იყო განსაზღვრული და შემდეგ შეაფასა ქულებით.

სააგენტოს მიერ რისკის დონის განსაზღვრის პროცედურის განხორციელება ატარებდა ფორმალურ ხასიათს. სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაურკვეველია, რა პრინციპით მოხდა იმ კონკრეტული ბიზნესოპერატორების შერჩევა, რომელთაც შემდგომ მიენიჭათ ქულები და განხორციელდა მათი რისკის დონის განსაზღვრა.

აღნიშნულის მიზეზი სააგენტოში არსებული რისკის შეფასების სისტემის ხარვეზია, რაც გამოწვეულია შერჩევის ერთიანი სტანდარტიზებული სისტემის არარსებობით.

ბიზნესოპერატორების რისკის დონის განსაზღვრის არსებული პრაქტიკა, ბაზარზე სასურსათო რისკების სრული სურათის დანახვის საშუალებას არ იძლევა. აქედან გამომდინარე, სააგენტოში ხდება რისკების არასრული შეფასება და მათი არაეფექტიანი მართვა.

3.1.2 აუდიტის პერიოდში ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების პერიოდულობა დაცული არ ყოფილა

ქვეყნის სასურსათო სფეროში არსებული რისკების მართვისთვის მნიშვნელოვანია ბაზარზე მოქმედი ბიზნესოპერატორების შესაბამისი, რისკზე დაფუძნებული სიხშირით ინსპექტირება. ევრორეგულაციისა და კარგი პრაქტიკის თანახმად,²⁶ კონტროლი უნდა

²⁶ EC 882/2004, Article 3.1.

ატარებდეს რეგულარულ ხასიათს, უნდა იყოს საფრთხის შესაბამისი და ტარდებოდეს შესაბამისი სიხშირით.

მაგალითად, ლიტვაში ბიზნესოპერატორები, საქართველოში არსებული პრაქტიკის მსგავსად, კლასიფიცირდება მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის ობიექტებად.²⁷ მაღალი რისკის ობიექტები ექვემდებარება ინსპექტირებას წელიწადში ორჯერ, საშუალო რისკის - წელიწადში ერთხელ, ხოლო დაბალი რისკის ობიექტები - ორ წელიწადში ერთხელ.

საქართველოში, ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების პერიოდულობა რეგულირდება დადგენილებით²⁸, რომლის მიხედვითაც მაღალი რისკის ობიექტები ინსპექტირებას ექვემდებარება წელიწადში ერთხელ, ხოლო ყველა დანარჩენი - ორ წელიწადში ერთხელ. რაც ნიშნავს, რომ ორწლიანი პერიოდის განმავლობაში კონტროლი უნდა განხორციელდეს ბაზარზე არსებულ ყველა ბიზნესოპერატორთან.

რისკის ანალიზის სამმართველოში ქულების მინიჭების შემდგომ, ხდება პრიორიტეტით განსაზღვრული ტიპის ბიზნესოპერატორების შერჩევა ინსპექტირებისათვის. 2013, - 2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში სულ გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება განხორციელდა 5,919 ბიზნესოპერატორთან. 2013 წლის დასაწყისში რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რიცხვი შეადგენდა 28,035-ს, 2014 წლის ბოლოს - 65,535-ს, ხოლო 2015 წლის ივნისის მდგომარეობით - 96,480-ს.

გამომდინარე იქედან, რომ სააგენტოს არ განუხორციელებია ბაზარზე მოქმედი ყველა ბიზნესოპერატორის რისკის შეფასება, იგი არ ფლობდა ბაზარზე შექმნილი საფრთხეების შესახებ სრულ ინფორმაციას. *შესაბამისად, არ განუსაზღვრავს საფრთხის შემცველი ბიზნესოპერატორების კონტროლის პერიოდულობა. იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წელს რეგისტრირებული იყო 28,035 ბიზნესოპერატორი, ორწლიანი პერიოდის განმავლობაში ინსპექტირება არ ჩატარებულა 5,919-ზე მეტ ბიზნესოპერატორთან, მაშინ, როდესაც დადგენილების მიხედვით, ყველა ბიზნესოპერატორი ინსპექტირებას ექვემდებარება ორ წელიწადში ერთხელ მაინც. კანონმდებლობით განსაზღვრული ბიზნესოპერატორთა ინსპექტირების პერიოდულობა აუდიტის პერიოდში არ ყოფილა დაცული.*

სააგენტოს მიერ კანონმდებლობით გაწერილი ინსპექტირების პერიოდულობის შეუსრულებლობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი დადგენილი პერიოდულობის არარეალისტურობაა. სააგენტოს ინსპექტირებაზე გამოყოფილი რესურსების ანალიზი აჩვენებს, რომ ინსპექტირების დადგენილი პერიოდულობის შესრულება არსებულ პირობებში შეუძლებელი იყო²⁹. აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ კონტროლის გარეშე დარჩა

²⁷ მაღალი რისკის - 60 ქულაზე მეტი, საშუალო - 46-59 ქულა და დაბალი - 46 ქულაზე ნაკლები.

²⁸ „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილება.

²⁹ იხილეთ ანგარიშის 4.1.2 ქვეთავი.

ბიზნესოპერატორთა დიდი ნაწილი, რამაც გაზარდა ბაზარზე მავნე სურსათის განთავსების რისკები.

დასკვნა

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, სააგენტო არ ფლობს სრულ, ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას ბაზარზე არსებულ ბიზნესოპერატორებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს უშლის, ერთი მხრივ, სურსათის სფეროში არსებული რისკების სრული სურათის დანახვას და, მეორე მხრივ, რისკის დონის განსაზღვრის პროცესის ეფექტიანად განხორციელებას. ამასთანავე, სააგენტო არ ახდენს ყველა იმ ბიზნესოპერატორის რისკის დონის შეფასებას, რის საშუალებასაც არსებული ინფორმაცია იძლევა. აღნიშნულის გამო არ ხდება ყველა ბიზნესოპერატორის რისკის დონის განსაზღვრა და ინსპექტირების შესაბამისი პერიოდულობის/სიხშირის დადგენა.

3.2 ნაკლოვანებები ინსპექტირების განხორციელებისას

3.2.1 დაბალია ინსპექტირების პროცესში პროდუქტიულობის მაჩვენებელი

სააგენტოში, ქვეყნის მასშტაბით ინსპექტირების განმახორციელებლები არიან ინსპექტირების დეპარტამენტი და რეგიონული სამმართველოები. 2013 წელს ინსპექტირებას ახორციელებდა მხოლოდ ინსპექტირების ცენტრალური დეპარტამენტი და თბილისის სამმართველო, ხოლო 2014 წლის მეორე კვარტალში რეგიონულ სამმართველოებში მოხდა კადრების აყვანა და დაიწყო ინსპექტირებების განხორციელება.

ინსპექტირების ცენტრალური დეპარტამენტი ახორციელებს ინსპექტირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. მათ მიერ შემოწმებული ობიექტები ძირითადად მიეკუთვნება მაღალი რისკის კატეგორიას: ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავებასა და ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელ საწარმოებს, ხოლო თბილისის და რეგიონული სამმართველოების ინსპექტორები ძირითადად სხვა დანარჩენი ტიპის ობიექტების ინსპექტირებას ახორციელებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ობიექტზე ინსპექტირება ხორციელდება როგორც თბილისის, ასევე ცენტრალური სამმართველოს მიერ. ინსპექტორების მოვალეობაა გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებისა და შესაბამისი გადამოწმებების განხორციელება და შესაბამისობის აქტის შედგენა,³⁰ რომელთა მონაცემების გადატანა ხელით ხდება excel-ის ელექტრონულ ცხრილებში.

³⁰ „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილება.

წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირებების რაოდენობა ყოველი წლის დასაწყისში სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამით განისაზღვრება. ჩასატარებელი ინსპექტირებების რაოდენობის გამოსათვლელად ინსპექტორების რაოდენობა მრავლდება წლის განმავლობაში ერთი ინსპექტორის მიერ ჩასატარებელი ინსპექტირებების რიცხვზე. ერთი ინსპექტორის მიერ ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირებების რაოდენობა 2013 წელს განისაზღვრა 35-ით, 2014 წელს - 40-ით, ხოლო 2015 წელს - 45-ით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ფაქტობრივად განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობისა და 2013 - 2014 წლებსა და 2015 წლის პირველ ნახევარში არსებული ინსპექტირების რესურსის შესახებ (კაც-დღეებში) შესაბამისი პროდუქტიულობის მაჩვენებლებით (ერთ ინსპექტირებაზე დახარჯული კაც-დღეების რაოდენობა).

ცხრილი 3.2.1: ჩატარებული ინსპექტირების რაოდენობა და პროდუქტიულობის მაჩვენებლები

2013 წელს განხორციელებული ინსპექტირებები							
სამმართველო	გეგმური	არაგეგმური	გადამოწმება	სულ	ინსპექტორების რაოდენ.	ჯამური კაც-დღეები ³¹	კაც-დღე ერთ ინსპექტირებაზე ³²
ცენტრალური	540	204	745	1489	11	2200	1.5
თბილისი	202	27	431	660	8	-	-
სულ:	742	231	1176	2149	19	-	-
2014 წელს განხორციელებული ინსპექტირებები							
სამმართველო	გეგმური	არაგეგმური	გადამოწმება	სულ	ინსპექტორების რაოდენ.	ჯამური კაც-დღეები	კაც-დღე ერთ ინსპექტირებაზე
ცენტრალური	538	189	483	1210	12	2330	1.92
თბილისი	642	120	887	1649	11	1850	1.12
აჭარა	246	80	291	617	6	900	1.45
სამეგრელო	105	33	152	290	5	550	1.9
რაჭა	6	1	15	22	2	310	14.1
იმერეთი	214	62	203	479	8	1335	2.8
გურია	58	6	32	96	3	450	4.7

³¹ აღნიშნული მაჩვენებელი დათვლილია ინსპექტორების რაოდენობის გამრავლებით შესაბამის პერიოდში მათი სამუშაო დღეების რაოდენობაზე. წლის განმავლობაში სამუშაო დღეების რაოდენობა მიღებულია 200-ის ტოლად.

³² აღნიშნული მაჩვენებელი მიღებულია ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობის გაყოფით ინსპექტირების არსებულ რესურსზე (კაც-დღეები) და გვიჩვენებს არსებულ შედეგიდან გამომდინარე, საშუალოდ რა რესურსი დაეთმო ერთ ინსპექტირებას, შესაბამისი ტრანსპორტირების და სხვა აქტივობების დროის ჩათვლით.


სამცხე-ჯავახეთი	21	22	40	83	5	500	6
შიდა ქართლი	103	20	141	264	4	549	2.1
ქვემო ქართლი	42	40	74	156	5	610	3.9
მცხეთა-მთიანეთი	86	16	66	168	4	466	2.8
კახეთი	116	40	108	264	4	560	2.12
სულ:	2177	629	2492	5298	69	10410	1.96
2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული ინსპექტირებები							
სამმართველო	გვერდური	არაგვერდური	გადამოწმება	სულ	ინსპექტორების რაოდენ.	ჯამური კაც-დღეები	კაც-დღე ერთ ინსპექტირებაზე
ცენტრალური	240	26	185	451	12	1200	2.7
თბილისი	446	55	359	860	12	1200	1.4
აჭარა	116	58	206	380	6	600	1.6
იმერეთი	298	12	87	397	8	800	2
გურია	60	4	43	107	3	300	2.8
სამეგრელო	212	7	100	319	6	600	1.9
რაჭა	38	3	31	72	2	200	2.8
შიდა ქართლი	83	7	130	220	4	400	1.8
ქვემო ქართლი	185	9	85	279	5	500	1.8
სამცხე-ჯავახეთი	71	10	54	135	5	500	3.7
მცხეთა-მთიანეთი	19	6	52	77	4	400	5.2
კახეთი	165	10	131	306	5	500	1.6
სულ:	1933	207	1463	3603	72	7200	2

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროდუქტიულობის მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავდება რეგიონული სამმართველოების მიხედვით, საუკეთესო, ოპტიმალურთან მიახლოებული მაჩვენებელი - 1.12 კაც-დღე 2014 წელს თბილისის სამმართველოში დაფიქსირდა, ხოლო საშუალო მაჩვენებელმა 2 კაც-დღე შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ერთი ობიექტის ინსპექტირებასა და ტრანსპორტირებაზე საშუალოდ 2 ინსპექტორის ერთი სამუშაო დღე დაიხარჯა.

აუდიტის ჯგუფმა სააგენტოს მიერ აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინსპექტირებების ანალიზით დაადგინა, რომ დაბალია პროდუქტიულობა ინსპექტირებების განხორციელების პროცესში.

ინსპექტირების განხორციელების პროცესში დახარჯული დროის ძირითად ნაწილს ობიექტზე ყოფნის დრო შეადგენს. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინსპექტირების მიერ, უშუალოდ ობიექტზე ყოფნისას დახარჯული საშუალო დროის მაჩვენებლების შესახებ:

გრაფიკი 3.2.2: შესამოწმებელი ობიექტის ინსპექტირების დრო



შერჩეული ინსპექტირების აქტების დოკუმენტური ანალიზით გამოვლინდა, რომ საშუალოდ ერთ გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებაზე³³ დახარჯული დრო შეადგენს 120 წუთს,³⁴ თუმცა იგი სხვადასხვა რეგიონული სამმართველოების მიხედვით. საშუალოდ, ყველაზე მეტ დროს - 145 წუთს ხარჯავს ინსპექტირების დეპარტამენტი, რადგან ძირითადად მათ უწევთ ყველაზე რთული ობიექტების შემოწმება, ხოლო ყველაზე ნაკლებს - 68 წუთს, მცხეთა-მთიანეთი. რაც შეეხება გადამოწმებას, საშუალო დრომ 45 წუთი შეადგინა. საშუალოდ 1 ინსპექტირებაზე (ინსპექტირება და გადამოწმება) დახარჯული დრო კი 90 წუთს შეადგენს.³⁵

³³ ინსპექტორის ობიექტზე ყოფნის დრო.

³⁴ საშუალო შეწონილი მაჩვენებელი.

³⁵ გათვლებში მოხდა შესაბამისი სამმართველოების მიერ ჩატარებული ინსპექტირებების რიცხვების და ასევე ინსპექტირებისა და გადამოწმებების საშუალო თანაფარდობის გათვალისწინება.

აქედან გამომდინარე, საშუალოდ ტრანსპორტირებასა და სხვა აქტივობებზე³⁶, ობიექტზე ყოფნის დროზე ერთი საათით მეტის დახარჯვის შემთხვევაშიც კი, ერთი ინსპექტირების არაუმეტეს ნახევარ სამუშაო დღეში³⁷ განხორციელება შესაძლებელია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ინსპექტირების ორ-კაციანი ჯგუფის³⁸ მიერ საშუალოდ ორი ინსპექტირების³⁹ განხორციელება შესაძლებელია. რაც 36 ჯგუფის შემთხვევაში⁴⁰, წელიწადში⁴¹ 14,400 ინსპექტირების განხორციელების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ნიშნავს, რომ საშუალოდ ერთ ინსპექტირებაზე დახარჯული რესურსი კონსერვატიული გაანგარიშებით, შესაძლოა შემცირდეს 8 კაც-საათამდე (1 კაც-დღე), ნაცვლად 16 კაც-საათისა (2 კაც-დღე). შესაბამისად, შესაძლებელია პროდუქტიულობის 100%-ით ზრდა.

აღნიშნულ შემთხვევაში, საშუალოდ ერთი ინსპექტორის მიერ წლის განმავლობაში 200 ინსპექტირების განხორციელება შესაძლებელია.⁴² შედარებისათვის, სლოვენიაში წლის განმავლობაში საშუალოდ ერთ ინსპექტორზე 238 ინსპექტირება მოდის⁴³, ხოლო აშშ-ში 280-320. აღნიშნულ ქვეყნებში ინსპექტორების მიერ ჩატარებული ინსპექტირებების პრაქტიკა დაახლოებით მსგავსია საქართველოში არსებულთან.

კადრებთან და საწარმოებთან დაკავშირებული სპეციფიკის⁴⁴ გათვალისწინებით, შესაძლებელია 2-კაციანი ჯგუფები გაიზარდოს 2.5-კაციან ჯგუფებად⁴⁵. ასეთ შემთხვევაში ინსპექტირების რაოდენობა 11,520 იქნება, რაც პროდუქტიულობას 60 %-ით გაზრდის.

სააგენტომ ვერ წარმოადგინა დასაბუთება, რის საფუძველზე იყო დადგენილი წლის განმავლობაში ერთი ინსპექტორის მიერ ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირებების რაოდენობა. ინსპექტირების რაოდენობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ერთი ინსპექტორის მიერ განსახორციელებელი გეგმური ინსპექტირების რაოდენობის სიმცირით. გეგმური ინსპექტირების მაჩვენებელი პირდაპირ განსაზღვრავს წლის განმავლობაში ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობას, რადგან გადამოწმებების რაოდენობა პირდაპირაა მიზნული გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებებზე, ხოლო

³⁶ ინსპექტირებისათვის მომზადება და ინსპექტირების შედეგების შესახებ ანგარიშის შედგენა

³⁷ 4 სამუშაო საათი.

³⁸ სააგენტოს განცხადებით, ინსპექტირების ჯგუფის ოპტიმალური ზომა 2 ინსპექტორია, გარდა განსაკუთრებით დიდი ზომისა და რთული ობიექტების ინსპექტირების შემთხვევებისა, სადაც შესაძლოა 3 ინსპექტორი გახდეს საჭირო.

³⁹ ინსპექტირება გულისხმობს როგორც გეგმურ და არაგეგმურ ინსპექტირებას, ასევე გადამოწმებას.

⁴⁰ 72 ინსპექტორი / 2-კაციანი ჯგუფი.

⁴¹ წელიწადში სამუშაო დღეების რიცხვად აღებულია 200 (გათვალისწინებულია შვებულებისა და შესაძლო მოცდენის პერიოდები).

⁴² 14400/72.

⁴³ Food Safety Inspections: Lessons Learned From Other Countries, IFC, 2010.

⁴⁴ ზოგიერთ რეგიონულ სამმართველოში მუშაობს კენტი რაოდენობის ინსპექტორი.

⁴⁵ შემთხვევათა 50%-ში 2-კაციანი ჯგუფი, ხოლო 50%-ში - 3-კაციანი ჯგუფი.

არაგეგმური ინსპექტირების რაოდენობა მხოლოდ 11%-ს შეადგენს მთლიან ინსპექტირებებში.

პროდუქტიულობის გაზრდის პროცესში შემაფერხებელი ფაქტორი ჯგუფში ინსპექტორების ჭარბი რაოდენობაა. 2015 წლის მიმდინარე პერიოდის ინსპექტირების მაჩვენებლების შესწავლით გამოვლინდა,⁴⁶ რომ ინსპექტირებული ობიექტების 55%-ში იმყოფებოდა სამი და მეტი ინსპექტორი, არის ასევე 4–5 კაციანი ჯგუფის ფაქტებიც.

რეგიონული სამმართველოების ინსპექტორების დროის განაწილება ასევე გავლენას ახდენს პროდუქტიულობის მაჩვენებელზე. გამოვლინდა ერთკვირიანი და უფრო ხანგრძლივი პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც რეგიონული სამმართველოების ინსპექტორების მიერ ინსპექტირება საერთოდ არ განხორციელებულა.

აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა ინსპექტირების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიწვია არსებული რესურსების არაპროდუქტიულად გამოყენება, რის გამოც ვერ მოხერხდა უფრო მეტი ობიექტების ინსპექტირების დაგეგმვა და განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს უმეტესი რეგიონული სამმართველოს პროდუქტიულობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინსპექტირების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში არსებობს პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებით შესაძლებელია ინსპექტირებისათვის გამოყოფილი დროის უფრო ოპტიმალური გამოყენება და შესაბამისად, მეტი ობიექტის ინსპექტირება.

კადრებთან დაკავშირებული საკითხები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო კონტროლის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი კრიტერიუმი ერთნაირი მიდგომების გამოყენებაა.⁴⁷ ასევე, სურსათისა და სოფლის მეურნეობის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO) სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით⁴⁸, კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს კონტროლის აქტივობების ერთნაირი დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსპექტორებმა ადმინისტრირებისას და ბიზნესოპერატორთან აღმოჩენილი კრიტიკული და არაკრიტიკული დარღვევის კლასიფიცირებისას, ერთნაირი მიდგომა უნდა გამოიყენონ. ინსპექტირებისას ერთნაირი მიდგომების გამოყენებისა და ასევე ინსპექტირების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებას ინსპექტორების

⁴⁶ აუდიტის ჯგუფმა აღნიშნულზე 2014 წლის პერიოდში არ გაამახვილა ყურადღება, რადგან რეგიონულ სამმართველოებში ინსპექტორები ახალი აყვანილი იყვნენ.

⁴⁷ Auditing effectiveness of official control system, national audit systems network, 2014.

⁴⁸ FAO – Assuring food safety and quality: guidelines for strengthening national food control systems, food and nutrition paper, 76.

რეგულარული გადამზადება და ჩატარებული ინსპექტირებების ხარისხის შეფასება წარმოადგენს.

მაგალითად, ინსპექტორების გადამზადება რეგულარულ ხასიათს ატარებს ხორვატიაში, სადაც კანონმდებლობით ინსპექტირების ყველა სტრუქტურულ ერთეულს ევალება, ჩაუტაროს ტრენინგი საკუთარ კადრებს წელიწადში ერთხელ.⁴⁹ ანალოგიურად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ ხდება ინსპექტორებისათვის ტრენინგების ჩატარება ლიტვაშიც. პოლონეთში დანერგილია ISO 9001 სახელმწიფო სანიტარული ინსპექტირების ორგანოს მიერ, რის საფუძველზეც ყოველწლიურად ხდება გაწეული სამუშაოს ხარისხის შეფასება.⁵⁰

სურსათის ეროვნული სააგენტო ინსპექტირების დროს მთავრობის დადგენილებითა⁵¹ და 2014 წლის ივნისში სააგენტოს უფროსის მიერ დამტკიცებული მეთოდური მითითებებით ხელმძღვანელობს, სადაც ჩამოთვლილია კრიტიკული შეუსაბამობები.⁵² გარდა მეთოდურ მითითებებში მოცემული შეუსაბამობებისა, ინსპექტორს უფლება აქვს კრიტიკულად მიიჩნიოს სხვა შეუსაბამობებიც, საწარმოში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობიდან გამომდინარე. დადგენილების მიხედვით, კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამობა განმარტებულია შემდეგნაირად: არაკრიტიკული შეუსაბამობაა, რომელიც არ უქმნის პირდაპირ საფრთხეს ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომლის აღმოფხვრა შესაძლებელია საქმიანობის შეჩერების გარეშე. ასეთი სახის შეუსაბამობის გამოსწორება სავალდებულოა ბიზნესოპერატორის მიერ გონივრულ ვადაში, ხოლო კრიტიკული შეუსაბამობაა, რომელიც მაღალ რისკს უქმნის ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც არის საქმიანობის დროებითი შეჩერების საფუძველი, ასეთი სახის შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, საწარმოო პროცესი, სადაც კრიტიკული შეუსაბამობა იქნა დაფიქსირებული, ექვემდებარება შეჩერებას შეუსაბამობის გამოსწორებამდე, ხოლო ბიზნესოპერატორი ჯარიმდება 1,000 ლარით.

როგორც უკვე აღინიშნა, სურსათის უვნებლობის სააგენტოში ინსპექტირების მიმართულებით სულ 83 თანამშრომელია დასაქმებული, საიდანაც 72 მთავარი სპეციალისტ-ინსპექტორია, ხოლო 11 მმართველ რგოლშია (უფროსი ან მოადგილე). თანამშრომლების მასობრივად აყვანა რეგიონულ სამმართველოებში 2014 წელს დაიწყო. დასაქმებული 72 ინსპექტორიდან მხოლოდ 15-ია პროფესიით ექიმი-ჰიგიენისტი, სანიტარ-ჰიგიენისტი ან ექიმი-პროფილაქტიკოსი. ინსპექტორების მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე ზედამხედველობა ინსპექტირების დეპარტამენტისა და რეგიონული სამმართველოების უფროსების კომპეტენციაში შედის.

⁴⁹ Food Safety Inspections: Lessons Learned From Other Countries, IFC, 2010.

⁵⁰ IFC, Food Safety Inspections: Lessons Learned From Other Countries, 2010.

⁵¹ „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილება.

⁵² სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 6 ივნისის N214-9 ბრძანება.

2014 წელს რეგიონულ სამმართველოებში კადრების აყვანა მოხდა გასაუბრების საფუძველზე. ინსპექტორები აყვანის შემდგომ პირდაპირ შეუდგნენ პროფესიული მოვალეობის შესრულებას. 2014 წლის განმავლობაში რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგები და მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება ინსპექტირების განხორციელების პროცესში. მიუხედავად ამისა, ინსპექტირების შერჩეული აქტების ანალიზით გამოვლინდა, რომ კრიტიკული და არაკრიტიკული შეუსაბამოების გამიჯვნისას, ინსპექტორებმა გარკვეულ შემთხვევებში არ დაიცვეს მეთოდური მითითებები და კრიტიკულ დარღვევებს მიაჩნეს არაკრიტიკულის კვალიფიკაცია⁵³, რაც შესაძლოა ინსპექტორებისთვის არასაკმარისი ტრენინგებით იყოს გამოწვეული. ამასთან, გამოვლინდა შემთხვევა როდესაც ერთ-ერთი რეგიონული სამმართველოს მიერ არ მოხდა ინსპექტირებული ობიექტების გადამოწმება შესაბამის პერიოდში.⁵⁴

2015 წლის განმავლობაში გაიზარდა ტრენინგების რაოდენობა და შემცირდა ინსპექტორების მიერ მეთოდური მითითებების დარღვევის ფაქტები.

დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა პროფილის საწარმოებში განსხვავებულია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და რისკფაქტორები, ხოლო ჰიგიენის ზოგადი წესის დაცვა საერთოა ყველა პროფილის საწარმოსთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსპექტორის კვალიფიკაციას. იმისათვის, რათა ინსპექტორმა შემოწმებისას შეძლოს საწარმოში რისკფაქტორების სწორად იდენტიფიცირება, კიდევ უფრო საჭირო ხდება კადრების გადამზადება, რათა მათი კვალიფიკაცია მორგებულ იქნეს სამუშაოს მოთხოვნებთან.


რეკომენდაციები:

- › სააგენტომ უზრუნველყოს ბიზნესოპერატორთა შერჩევის პროცესში გამოყენებული მონაცემთა ბაზების დროულად დაზუსტება და მასში არსებული ყველა ბიზნესოპერატორისათვის რისკის დონის განსაზღვრის პროცედურის განხორციელება;
- › მოხდეს შეფასებული ბიზნესოპერატორებისათვის ინსპექტირების შესაბამისი სიხშირეების განსაზღვრა ინსპექტირების არსებული რესურსების გათვალისწინებით.
- › გადაიხედოს და გაიზარდოს ერთი ინსპექტორის მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმური ინსპექტირების მაჩვენებელი და მოხდეს ინსპექტირების ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობის ინსპექტორებით დაკომპლექტება.

⁵³ 25 შემთხვევა შერჩეული აქტებიდან.

⁵⁴ გურიის რეგიონულმა სამმართველომ 2014 წელს შემოწმებული ობიექტების გადამოწმება შესაბამის პერიოდში არ განახორციელა.

4. კონტროლის მექანიზმები (მონიტორინგი)



4.1 რისკის ანალიზის პროცესის ნაკლოვანებები

სურსათის კონტროლის ერთ-ერთი საშუალებას მონიტორინგის მექანიზმი წარმოადგენს, რომელიც ადგილობრივ სასურსათო ბაზარს ამოწმებს. მონიტორინგის პრაქტიკის შესწავლით, ნაკლოვანებები გამოიკვეთა ქვეყანაში არსებული რისკების შეფასების, შესამოწმებელი სურსათისა და ობიექტების შერჩევასთან მიმართებაში.

რისკის განსაზღვრა/შეფასება

რისკის შეფასება რისკის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტია და შედგება ოთხი საფეხურისაგან:

1. საფრთხის იდენტიფიცირება;
2. საფრთხის დახასიათება-აღწერა;
3. საფრთხის გამოვლენის შეფასება;
4. რისკის დახასიათება.⁵⁵

რისკის შეფასების მიზანია დადგინდეს დაავადების გამომწვევი მიზეზი, მისი გავრცელების გზები, მიყენებული ზიანის ოდენობა და საშუალებები, რომელთა

⁵⁵ FAO; „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N 2-143 ბრძანება. აუდიტის პერიოდის შემდეგ, „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის N605 დადგენილება.

მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დაავადების გავრცელების შეზღუდვა ან აღმოფხვრა.⁵⁶ ვინაიდან, სურსათთან დაკავშირებული რისკები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, არსებობს მისი ეროვნულ დონეზე შეფასების აუცილებლობა. კოდექს ალიმენტარიუსისა და FAO-ს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო კვლევებს და მაქსიმალურად უნდა ასახავდეს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.⁵⁷ მნიშვნელოვანია, რომ რისკის შეფასებისას მოხდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის ქრონიკული და კუმულაციური (გრძელვადიანი) ზემოქმედების შედეგების გათვალისწინება.⁵⁸

რისკის ანალიზზე დამყარებული მიდგომა საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს, თუმცა, მისი პრაქტიკაში განხორციელება ხარვეზებით მიმდინარეობს. აუდიტის პერიოდში, სურსათის დეპარტამენტის დებულების თანახმად, რისკის შეფასება და მათი შედეგების გათვალისწინება დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა.

*ჩატარებული ანალიზით გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდში, სურსათის დეპარტამენტში რისკის შეფასების პროცესი არ მიმდინარეობდა, რითაც დაირღვა ბრძანებით დადგენილი რისკის შეფასების პროცედურები.*⁵⁹

FAO-ს კარგი პრაქტიკისა და მინისტრის ბრძანების მიხედვით, აღნიშნულ კვლევას ატარებენ შერჩეული მეცნიერ-ექსპერტები, მათი სპეციალობისა და ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე. თუმცა, სააგენტოს შესაბამისი კვალიფიკაციის მეცნიერ-ექსპერტები თანამშრომლობისთვის არ მოუწვევია, ხოლო სააგენტოში არსებული ადამიანური რესურსებით კვლევა - არ განხორციელებულა.

იქედან გამომდინარე, რომ რისკის შეფასება არ მიმდინარეობს, ვერ ხდება ახლად წარმოქმნილი რისკების იდენტიფიცირება, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ვითარდება. შედეგად, ბაზარზე კონტროლის გარეშე რჩება აქტუალური რისკები, რომელთაც ხანგრძლივი ან კუმულაციური ეფექტი აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

⁵⁶ ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების შეთანხმების მოთხოვნები სურსათის უვნებლობისადმი საქართველოში, 2015.

⁵⁷ Codex Alimentarius, FAO, WHO, *Working Principles for Risk Analyses for Practical Application by Governments*, 2007, art. 24.

⁵⁸ Codex Alimentarius, art. 27; „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N 2-143 ბრძანება, მუხლი 4 (9).

⁵⁹ „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურები“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N 2-143 ბრძანება, მუხლი 4.


ობიექტის შერჩევა

რისკის შეფასებისა და შესამოწმებელი სურსათის შერჩევის შემდეგ ეტაპზე ობიექტების შერჩევა უნდა ხდებოდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომით. ობიექტების შერჩევის შემდეგ გასათვალისწინებელია შესამოწმებელი ობიექტების პროპორციულად გადანაწილება რაიონებისა და უბნების მიხედვით.

ინსპექტორებისგან განსხვავებით, მონიტორინგის სპეციალისტები თავისუფალნი არიან სარეალიზაციო ობიექტის არჩევისას. მონიტორინგის სპეციალისტებს განსაზღვრული აქვთ, მხოლოდ სურსათის სახეობა, საიდანაც უნდა მოხდეს ნიმუშის აღება. ხოლო, რომელ ობიექტში განახორციელებენ ნიმუშის აღებას, დამოკიდებულია სპეციალისტის გადაწყვეტილებაზე.

მონიტორინგისთვის ობიექტების შერჩევის მოცემულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ თბილისში მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შერჩევა ძირითადად ვაკე - საბურთალოს რაიონში ხორციელდება. მაშინ როდესაც რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რიცხვი ისანი - სამგორსა და გლდანის - ნაძალადევის რაიონებში უფრო მაღალია (იხ. გრაფიკი 4.1.2).

გრაფიკი 4.1.2: ნიმუშის აღება რაიონების მიხედვით 2014 წელი⁶⁰



⁶⁰ მოსახლეობის რაოდენობის ინფორმაცია გამოყენებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდიდან: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=496, ხოლო ბიზნესოპერატორებისა და მონიტორინგის მონაცემები - სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ბაზიდან, აღსანიშნავია რომ რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების ბაზა, რომელიც მოწოდებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ არ განასხვავებს ბიზნესოპერატორებს ფაქტობრივი და იურიდიული მისამართების მიხედვით.

მონიტორინგის ფარგლებში ობიექტების შემოწმება ვერ უზრუნველყოფს, რაიონების მიხედვით რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რაოდენობის პროპორციულ მოცვას.

აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზად სააგენტო სარეალიზაციო ობიექტების ხშირი პროფილის ცვლილებასა და საქმიანობის შეწყვეტას ასახელებს. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტების თავისუფლად შერჩევა მონიტორინგის სპეციალისტებს მოქნილად მუშაობის საშუალებას აძლევს, ვერ ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პროპორციული კონტროლი.

დასკვნა

არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რისკის შეფასებისა და ობიექტების პროპორციული შერჩევის გარეშე, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს მონიტორინგის წლიური გეგმის ეფექტიანად შედგენასა და განხორციელებას.

4.2 მონიტორინგის პროცესი

ქვეყანაში არსებული აქტუალური რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, უნდა განხორციელდეს რისკის შემცველი სურსათის შერჩევა. სააგენტო წლის დასაწყისში ამზადებს მონიტორინგის წლიურ სამოქმედო პროგრამას. ასაღები ნიმუშების სახეობებისა და რაოდენობების დასადგენად, სააგენტო ხელმძღვანელობს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 26¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმებით:

- › წინა წლებში მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მომხამვების, სურსათით/ცხოველის საკვებით განპირობებული ნაწლავური ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;
- › სურსათის/ცხოველის საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;
- › გარემოს დაბინძურების შემთხვევები;
- › მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;
- › სააგენტოს მიერ საანგარიშო წელსა და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

სურსათის ეროვნული სააგენტო გეგმის შესადგენად ინფორმაციას იღებს შემდეგი წყაროებიდან:

- › წინა წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზი;
- › NCDC-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- › მომხმარებელთა მიმართულებით (დაწვრილებით იხ. ანგარიშის მე-6 თავი).

სააგენტომ 2013 წელს გეგმით განსაზღვრული 750 ასაღები ნიმუშიდან, 822 ნიმუში აიღო და 202 დარღვევა გამოავლინა. 2014 – 2015 წლებთან მიმართებაში, იხ. ცხრილი 4.2.1

ცხრილი 4.2.1: მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ნიმუშების რაოდენობა და გამოვლენილი დარღვევები 2014 და 2015 (ოქტომბერი) წლები.

სურსათის სახეობა	2015 წ.			2014 წ.		
	გეგმა	აღებული ნიმუშები (10 თვე)	დარღვევა (10 თვე)	გეგმა	აღებული ნიმუშები	დარღვევა
ცხოველური	650	531	173	500	778	277
არაცხოველური	300	360	39	200	359	20
რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენა	150	50	6	-	-	-
სალმონელა	700	264	29	500	501	3
ლისტერია	400	355	34	200	201	3
წყალი, უალკოჰოლო	750	586	272	800	862	369
ალკოჰოლური	400	385	63	100	125	27
მზა კერძები	-	-	-	500	562	316
ბავშვთა კვება				100	103	3
პესტიციდები	180	155	9	100	124	0
საკვებდანამატები	-	-	-	40	-	-
ვეტერინალური პრეპარატები	150	108	7	300	320	2
თაფლი-ვეტერინალური პრეპარატი	104	104	0	100	103	32
გმო	100	50	1	30	30	0
ხორც-პროდუქტებში ცხოველური ძვლის შემცველობა	50	11	0	-	-	-
ხორცის სახეობრივი დადგენა	95	96	7	200	122	7
სულ:	4,029	3005	640	3,670	4,190	1,059

საკვებდანამატები

ზემოთ აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ სააგენტო წლიური პროგრამით განსაზღვრული ნიმუშების აღების გეგმას ასრულებს, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს საკვებდანამატების შემოწმება, რომელიც 2014 წლის⁶¹ და 2015 წლის (ცვლილებამდე)⁶² მონიტორინგის გეგმაში იყო გათვალისწინებული.

სააგენტოს განცხადებით: „საკვებდანამატებთან მიმართებაში არსებობს 2 მნიშვნელოვანი პრობლემა: მოძველებული ნორმატიული აქტი და ლაბორატორიული პრობლემები, რომელთა გათვალისწინებით ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი სურსათში საკვებდანამატების ლაბორატორიული კვლევების განხორციელება. ნიმუშების საზღვარგარეთ ტესტირების განხორციელების შემთხვევაში ვერ მოხდება ქვეყანაში მოქმედ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს 2015 წლის მონიტორინგის გეგმაში განხორციელდა ცვლილება⁶³ და საკვებდანამატების შემცველობის ლაბორატორიული კვლევა ამოღებულ იქნა. ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის მიხედვით, საკვებდანამატების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან დაახლოება დაგეგმილია 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით.“

საქართველოში საკვებდანამატების გამოყენებას არეგულირებს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება.⁶⁴ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში 3,000-ზე მეტი საკვებდანამატი არსებობს, ბრძანება მოიცავს 421 ნებადართულ და 5 აკრძალულ საკვებდანამატს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნებადართული საკვებდანამატებიდან 25 - 2014 წლის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებში აიკრძალა⁶⁵. საქართველოში მოქმედი ბრძანება, რომელშიც მიღებიდან არც ერთი ცვლილება არ შესულა, დამტკიცებულია 2001 წელს და წარმოადგენს საბჭოთა ნორმების ვერსიას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი აკრედიტირებულ ლაბორატორიებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ნორმატივების არსებობისა და შემოწმებაზე მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში, საქართველოში შეაძლებელია საკვებდანამატებზე აკრედიტაციის აღება და შემოწმება.

⁶¹ „სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინალური და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის 2014 წლის 24 იანვრის მინისტრის N2 -19 ბრძანება.

⁶² „სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინალური და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 2 თებერვლის N 2 – 25 ბრძანება.

⁶³ „სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინალური და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 2 თებერვლის ბრძანებაში N2-25 ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 5 მაისის N 2 – 129 ბრძანება.

⁶⁴ „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N311/ნ ბრძანება.

⁶⁵ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, <http://momxmarebeli.ge/?rec=5093>.

გლობალიზაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პარალელურად, გაიზარდა საკვებდანამატების გამოყენება, რითაც საკითხმა აქტუალურობა შეიძინა. იქედან გამომდინარე, რომ საკვებდანამატებში შედის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდება კანცეროგენული ან ალერგენული თვისებებით, მნიშვნელოვანია მისი კონტროლი. სურსათთან დაკავშირებული საფრთხეები დროთა განმავლობაში იცვლება, მოქმედი ნორმები უნდა იყოს რეგულარულად განახლებადი და სააგენტოს საქმიანობა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი.

გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და სხვა სურსათის ეტიკეტირება

საკვების შეძენისას სურსათის ეტიკეტი მომხმარებელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს. იმ მიზნით, რომ სურსათის ეტიკეტის სანდოობა სარწმუნო იყოს მომხმარებლისთვის, აუცილებელია სურსათის ეტიკეტის რეგულარული კონტროლი და აღმოჩენილ დარღვევებზე დროული რეაგირება.

საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია „სურსათის ისეთი ეტიკეტირება, რეკლამა, ან წარდგენა, მათ შორის, დაფასოება, შეფუთვა, განთავსება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი სურსათის ნამდვილ ბუნებასთან, მის შემადგენლობასთან, თვისებებთან, ან სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებით.“⁶⁶

2015 წლიდან პოზიტიურ ცვლილებები განხორციელდა და სააგენტოს საქმიანობას დაემატა „გმო“ სურსათისა და რძის პროდუქტებში ცხოველური ცხიმების შემცველობის კონტროლი.

ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის⁶⁷ მიხედვით, გენმოდიფიცირებული სურსათი უნდა იყოს შესაბამისად ეტიკეტირებული და ატარებდეს „გმო“ ნიშანდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „გმო“- პროდუქტის შემცველობა არ აღემატება 0,9%-ს.⁶⁸ საქართველოში მოქმედი კანონით⁶⁹, სურსათზე, რომელზეც არ არის „გმო“- ნიშანდება მითითებული, მაგრამ ლაბორატორიული შემოწმებით აღმოჩნდება „გმო“-ს შემცველი, ჩაითვლება სურსათის ეტიკეტის წესის დარღვევად, რაც ჯარიმდება 5,000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა შეადგენს 10,000 ლარს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში გენმოდიფიცირებული სურსათის შემოწმება 2014 წლიდან მიმდინარეობს. სააგენტოს 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული 30 აღებული

⁶⁶ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, 2012, მუხლი 10¹, მე-3 და მე-4 ქვეპუნქტი.

⁶⁷ სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ, 2014 წლის 11 დეკემბერი, მუხლი 1, 7.

⁶⁸ EU Regulation, (EC) N 1829/2003 - მუხლები: 12, 13, 24 და 25.

⁶⁹ სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ, 2014 წლის 11 დეკემბერი.

ნიმუშიდან არც ერთი დარღვევა არ გამოვლინდა. შემოწმება განხორციელდა სოიოს, სიმინდის, ბრინჯის, კარტოფილის სახამებლისა და შაქრის პროდუქტებზე. ნიმუშები აღებულია არა მარტო იმპორტირებული, არამედ საქართველოში წარმოებული სურსათიდანაც. 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით, სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს, ასევე იმერეთისა და აჭარის რეგიონალური სამმართველოების მიერ გამოკვლეულია სურსათის 50 ნიმუში, ლაბორატორიული კვლევების შედეგად „გმო“ აღმოჩნდა 1 ნიმუშში - ტექსტურიერებულ სოიოს პროტეინში.

რაც შეეხება რძის პროდუქტებში ცხოველური ცხიმების შემცველობის შემოწმებას, 2014 წელს სააგენტომ ეტიკეტის წესის დარღვევის ცხრა შემთხვევა გამოავლინა. ორი შემთხვევა მარილში იოდის შემცველობას ეხებოდა, ხოლო შვიდი შემთხვევა - რძის ნაწარმში ცხოველური ცხიმების განსაზღვრას. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ცხიმის მასური წილი უფრო დაბალია, ვიდრე ეს პროდუქტის ეტიკეტზე იყო მითითებული და ცხოველური ცხიმების გარდა, პროდუქტი შეიცავდა მცენარეულ ცხიმებსაც, რაც ეტიკეტზე არ იყო ასახული. 2015 წელს სააგენტომ გეგმით განსაზღვრა 150 ნიმუშის აღება. 2015 წლის 10 თვის მონაცემებით, აღებულია 50 ნიმუში და გამოვლენილია 7 ეტიკეტის წესის დარღვევა კარაქსა და რძის ნაწარმში.

ასევე, სააგენტო პროდუქტის ეტიკეტზე კანონმდებლობით სავალდებულო ინფორმაციის (როგორიცაა: გამოშვების თარიღი, ვადა, მწარმოებლის დასახელება, მისამართი, ეტიკეტის ქართულ ენაზე არსებობა და ა.შ.) მითითებას ფიზიკური შემოწმებით აკონტროლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეტიკეტისა და პროდუქტის შემადგენლობის შესაბამისობის დადგენა ლაბორატორიული კვლევებით მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სურსათის სახეობებზე მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, „სურსათის შემადგენლობაში ყველა ინგრედიენტის ეტიკეტთან შესაბამისობის დადგენისთვის ლაბორატორიული კვლევის არსებობის შემთხვევაშიც კი, საქართველოში ამის შესაძლებლობა აკრედიტებული მეთოდით შეუძლებელია. ასევე, კონტროლის მექანიზმის - ინსპექტირების დროს ხდება ტექნოლოგიური დოკუმენტაციისა და სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების შედარება“.

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ სურსათზე ლაბორატორიული კვლევა უზრუნველყოფს სურსათის გარკვეული კატეგორიის შემოწმებას, ხოლო რაც შეეხება სააგენტოს განმარტებას ტექნოლოგიური დოკუმენტაციისა და სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების შედარების შესახებ, აღნიშნული ძირითადად მიმართულია ადგილობრივ წარმოებაზე.

დასკვნა

ეტიკეტისა და პროდუქტის შესაბამისობის ლაბორატორიულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციით ბიზნესოპერატორების მხრიდან არსებობს მომხარებლის შეცდომაში შეყვანის შემთხვევები. იქედან გამომდინარე, რომ სურსათის შემენის დროს მომხმარებლის არჩევანზე გადაწყვეტ როლს თამაშობს ეტიკეტი („დამზადებული ნატურალური რძისგან“, „არ შეიცავს შაქარს“, „არ შეიცავს საღებავებს და კონსერვანტებს“, „არ შეიცავს „გმო-ს“), მნიშვნელოვანია მასზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, რათა მომხმარებელი დაცული იყოს შეცდომაში შეყვანისაგან.

4.3 მონიტორინგისა და ინსპექტირების განხორციელების პროცესი

აუდიტის პერიოდში (2013 - 2014 წლებში და 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით) კონტროლის ცალკეული მექანიზმების (ინსპექტირება, მონიტორინგი) გამოყენების დროს ვერ ხდებოდა საწარმო/სარეალიზაციო ობიექტის ყველა დარღვევაზე რეაგირება. აღნიშნული კონტროლის მექანიზმები შესაძლოა ერთსა და იმავე ბიზნესოპერატორს შეხებოდა იმ განსხვავებით, რომ ინსპექტირება ჰიგიენურ პირობებსა და საწარმოო პროცესებზე იყო ორიენტირებული, ხოლო მონიტორინგი საბოლოო პროდუქტზე. მანდატში არსებული შეზღუდვების გამო, ერთი მხრივ, ინსპექტორებს არ ეძლეოდათ საშუალება აეღოთ ნიმუში ინსპექტირების დროს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ხოლო, მეორე მხრივ, მონიტორინგის სპეციალისტებს არ ჰქონდათ საშუალება რეაგირება მოეხდინათ არსებულ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დარღვევის შემთხვევაში. შედეგად, ერთსა და იმავე ობიექტზე ხორციელდებოდა როგორც ინსპექტირების, ისე მონიტორინგის სპეციალისტების ცალკეული ვიზიტები, რათა შემოწმებულიყო როგორც ჰიგიენური პირობები, ასევე საბოლოო პროდუქტი. ანალიზით გამოვლინდა შემთხვევები (სკოლებისა და ბაღების მაგალითი), როდესაც განხორციელდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის სპეციალისტების ვიზიტები ერთსა და იმავე ობიექტზე სხვადასხვა დროს. იქედან გამომდინარე, რომ ინსპექტირებისა და მონიტორინგის ფარგლებში ორჯერ ხდებოდა ერთი ობიექტის შემოწმება, სააგენტო შეზღუდული იყო მოქნილად და ეკონომიურად გამოიყენებინა არსებული რესურსები.

აუდიტის პერიოდის შემდგომ, „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“⁷⁰ შევიდა ცვლილება და ინსპექტირებისა და მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები შეიცვალა, კერძოდ, სახელმწიფო კონტროლის ყველა მექანიზმის, მათ


⁷⁰ „სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 15 აპრილის N36-3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის 6 ოქტომბრის N358-9 ბრძანება.

შორის, ინსპექტირებისა და მონიტორინგის განხორციელების უფლება მიეცა თბილისისა და რეგიონალური სამმართველოების ყველა სპეციალისტს.

რეკომენდაციები:

- › სააგენტომ მონიტორინგი განახორციელოს რისკზე დაფუძნებული მიდგომით.
- › სააგენტომ შეიმუშაოს მეთოდი შესამოწმებელი ბიზნეს ოპერატორების შერჩევისთვის, მოხდეს რაიონების პროპორციული მოცვა.

5. სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაცია



მომხმარებელთან კომუნიკაციის ნაკლოვანებები

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში სახელმწიფო უზრუნველყოფს „მომხმარებელთა დახმარების ცენტრების“ ფუნქციონირებას, სადაც მათ უფასოდ ემსახურებიან. აღნიშნული ცენტრების ფუნქციაა უზრუნველყონ რისკების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და კომუნიკაცია.⁷¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, რისკის ანალიზის მესამე კომპონენტია რისკის კომუნიკაცია. რისკის კომუნიკაცია არის, რისკის ანალიზისას - რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციისა და დასკვნების დროული და შეუფერხებელი გაცვლა რისკის შემფასებლებს, რისკის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, მომხმარებლებსა და ბიზნესოპერატორებს შორის.⁷²

სურსათის კოდექსის თანახმად, სააგენტო ვალდებულია ოპერატიულად მოახდინოს რეაგირება იმ შეტყობინებაზე, რომელიც მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.⁷³ ასევე სააგენტოს ვალდებულებაში შედის

⁷¹ სურსათის ძირითადი კანონი, სურსათის რეგულირება ევროკავშირში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2013.

⁷² საქართველოს კანონი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ 2012, მუხლი 6.

⁷³ საქართველოს კანონი - „სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ 2012 მუხლი 10¹.

მოსახლეობის დროული ინფორმირებულობა ბაზარზე განთავსებულ სურსათთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი ჯანმრთელობისთვის მავნეა.⁷⁴

სააგენტომ 2015 წელს დააფუძნა „სამოქალაქო დარბაზი“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სურსათის უვნებლობის სისტემის სრულყოფისთვის საკონსულტაციო ორგანოს შექმნა. მისი მიზანია ჩამოყალიბდეს ამ სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები და მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა სურსათის ეროვნული სააგენტოს პოლიტიკის შემუშავებაში. სამოქალაქო დარბაზის წევრები არიან: სააგენტო, სამეცნიერო წრეები, სურსათის დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. სააგენტო ვებგვერდზე⁷⁵ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, აღმოჩენილ დარღვევებს და განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც საზოგადოებისთვის ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კიდევ ერთი ფორმა - აღმოჩენილ დარღვევებზე შეტყობინებით მიმართვა. სააგენტოში დარღვევებზე შეტყობინების მიღების ორი წესი მოქმედებს: წერილობითი და სატელეფონო/ე.წ.„ცხელი ხაზი“. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის რეესტრის წარმოებას და შესაბამის დეპარტამენტში გადამისამართებას სამუშაო დღეებსა და საათებში. შეტყობინების რეესტრის ანალიზიდან ჩანს, რომ დარღვევების ძირითადი ნაწილი ვადაგასულ პროდუქციას ეხება. სააგენტოში 2014 წელს - 133 შეტყობინება, ხოლო 2015 წლის დეკემბრამდე პერიოდში 245 შეტყობინებაა დაფიქსირებული.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარდა ექსპერიმენტი სააგენტოს „ცხელ ხაზთან“ დასაკავშირებლად 2015 წლის თებერვალში, მაგრამ მრავალი მცდელობის მიუხედავად, დაკავშირება ვერ მოხერხდა. როგორც სააგენტოს ინფორმაციით გაირკვა, სარემონტო სამუშაოების გამო, 2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მარტამდე სატელეფონო კავშირი შეწყვეტილი იყო.

ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ სააგენტოში „ცხელი ხაზი“ მხოლოდ სამუშაო დღეებში მოქმედებს და არ არის გამართული „ქოლ ცენტრის“ სისტემა.

„მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევის“ მიხედვით ირკვევა, რომ სასურსათო ბაზარზე გამოკითხული 1,140 რესპოდენტიდან 69.4%-ს დარღვევების საპასუხოდ არაფერი მოუმოქმედებია, მხოლოდ 23.2% აღნიშნავს, რომ დარღვევაზე ჰქონდა რეაგირება, ამ რეაგირებაში იგულისხმება არა სააგენტოსთან, არამედ სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციისთვის მიმართვა, სიტუაციის გარკვევა მოლარესთან ან კონსულტანტთან.

⁷⁴ საქართველოს კანონი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, 2012, მუხლი 22.

⁷⁵ www.nfa.gov.ge.

დარღვევის ტიპები აქაც, ძირითადად პროდუქტის ვარგისიანობა, შენახვის პირობები და სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დარღვევაა⁷⁶.

როგორც აღნიშნული კვლევიდან ირკვევა, მომხმარებელი სათანადოდ არ არის ინფორმირებული სააგენტოში „ცხელი ხაზის“ არსებობის შესახებ. არ ჩატარებულა ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები და არ მიმდინარეობს სარეკლამო კამპანიები, საიდანაც მომხმარებელი ინფორმირებული იქნებოდა თავისი უფლებების შესახებ, ვის შეიძლება მიმართოს ან რა შეიძლება მოიმოქმედოს აღმოჩენილი დარღვევის დროს. აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა ექსპერიმენტი და 2015 წლის სექტემბერში სააგენტოს მიმართა სასურსათო მაღაზიაში აღმოჩენილ დარღვევაზე, თუმცა სააგენტოს შეთანხმებისამებრ გატარებულ ღონისძიებაზე პასუხი მომხმარებლისთვის არ შეუტყობინებია.

სააგენტოში „ქოლ ცენტრის“ სისტემისა და ცხელი ხაზის გაუმართავი მუშაობა გავლენას ახდენს საფრთხის შემცველი ბიზნესოპერატორებისა და შესამოწმებელ სასურსათო პროდუქტების შერჩევაზე. შესაძლებელია სააგენტომ ვერ მიიღოს მნიშვნელოვანი რისკის შემცველი ინფორმაცია მომხმარებლისგან.

დასკვნა

სააგენტო მონიტორინგის წლიური სამოქმედო პროგრამის შედგენისას იყენებს მომხმარებლისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს. აქედან გამომდინარე, სააგენტოს „ქოლ ცენტრის“ სისტემის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც მონიტორინგის წლიური პროგრამის შედგენისთვის, ასევე, სასურსათო ბაზარზე კონტროლის მექანიზმების ეფექტიანი მუშაობისთვის.

რეკომენდაციები:

- › სააგენტომ უზრუნველყოს ცხელი ხაზის შეუზღუდავად ფუნქციონირება და მიღებულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება;
- › სააგენტომ უზრუნველყოს მომხმარებლების ინფორმირებულობა სააგენტოში ცხელი ხაზის არსებობის შესახებ. ჩაატაროს სარეკლამო კამპანია სასურსათო პროდუქტებში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს მომხმარებელმა, ვის უნდა დაუკავშირდეს და რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

⁷⁶ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა საქართველოს ურბანულ ცენტრებში, 2015.

6. შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტი სამსახურმა შეისწავლა სურსათის უვნებლობის კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. აღნიშნული საკითხის შესწავლისას განხორციელდა როგორც ქვეყნის საზღვარზე, ასევე ქვეყნის შიგნით სასურსათო ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებთან შედარებით აუდიტის პერიოდში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა კონტროლის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი ლაბორატორიული შემოწმებით ვრცელდება მხოლოდ ცხოველური წარმოშობის სურსათის გარკვეულ კატეგორიებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სურსათის უვნებლობის კონტროლი მცენარეული წარმოშობის სურსათთან დაკავშირებულ რისკებს ლაბორატორიული შემოწმებით არ ფარავს. აუდიტით გამოვლინდა, რომ არსებული ლაბორატორიული კონტროლის ღონისძიებები სრულყოფილად არ ხორციელდება, რაც სასურსათო რისკების არასათანადო სასაზღვრო კონტროლს განაპირობებს. კონტროლის ღონისძიებების პერიოდული მონიტორინგის გარეშე შესაძლებელია რომ აღნიშნული ხარვეზები მომავალშიც გაგრძელდეს.

ქვეყნის შიგნით სურსათის უვნებლობის კონტროლის ძირითად მექანიზმებს ინსპექტირება და მონიტორინგი წარმოადგენს. სასურსათო რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია რისკის ანალიზის პროცედურების განხორციელება კონტროლის ორივე მექანიზმისთვის. აუდიტით გამოვლინდა, რომ რისკის ანალიზის პროცედურები ხარვეზებით ხორციელდება.

რისკის ანალიზის ხარვეზები ინსპექტირების განხორციელებისას გამოიხატება სააგენტოს მიერ ბიზნესოპერატორთა შესახებ არაზუსტი და არასრული ინფორმაციის ფლობით და მხოლოდ მათი მცირე რაოდენობისათვის რისკის დონის განსაზღვრით. მონიტორინგის შემთხვევაში რისკის ანალიზის ნაკლოვანებები პირველ რიგში გამოწვეულია რისკის შეფასების პროცედურის არ არსებობით. ქვეყანაში არსებული სასურსათო საფრთხეების ეფექტიანი მართვა შუძლებელია სრულყოფილი ბიზნესოპერატორთა ბაზისა და რისკის მეცნიერული შეფასების განხორციელების გარეშე.

რისკების ეფექტიანი მართვისათვის მნიშვნელოვანია ჩატარებული კონტროლის ღონისძიებების რაოდენობა და მათი სწორი გეოგრაფიული გადანაწილება. არსებული რესურსების უფრო პროდუქტიული გამოყენებით შესაძლებელია ბაზარზე არსებული ბიზნესოპერატორების მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის მოცვა და შესაბამისი სასურსათო რისკების შემცირება. აუდიტით გამოვლინდა, რომ არსებობს პროდუქტიულობის ზრდის ხარჯზე ინსპექტირების რაოდენობის გაორმაგების შესაძლებლობა. აღნიშნული დაეხმარება სააგენტოს მკვეთრად გაზარდოს სურსათის უვნებლობის კონტროლის ღონისძიებების მასშტაბები. მონიტორინგის შემთხვევაში

რისკების უკეთესი მართვა შესაძლებელია ღონისძიებების პროპორციული გეოგრაფიული გადანაწილებით, რაც აუდიტის პერიოდში სათანადოდ არ მიმდინარეობდა.

სასურსათო ბაზარზე უვნებელი პროდუქტის კრიტიკული შემფასებელი მომხმარებელია, რომლის მიერ აღმოჩენილი დარღვევები სააგენტოსთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. თუმცა, გამოკვეთილი ნაკლოვანება, რომელიც ცხელი ხაზის ხარვეზებით ფუნქციონირებას უკავშირდება, აფერხებს კომუნიკაციის პროცესს და ამცირებს საზოგადოების ინფორმირებულობას მათი უფლებების შესახებ. გამართული კომუნიკაციის გარეშე სააგენტო ვერ მიიღებს სათანადო ინფორმაციას მომხმარებელთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და ვერ განახორციელებს კონტროლის სათანადო ღონისძიებებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მოხდეს მოცემულ რეკომენდაციებზე რეაგირება და სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი ზომების მიღება.

რეკომენდაციები

სსიპ შემოსავლების სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

- › სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ პერიოდულად განხორციელდეს ელექტრონული პროგრამის მონიტორინგი, რათა პროდუქტები შემოწმდეს გეგმით განსაზღვრული სიხშირით.
- › მოხდეს ნიმუშების შემოწმება რისკის ანალიზით განსაზღვრულ ყველა მაჩვენებელზე და მათი გადანაწილება ლაბორატორიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განხორციელდეს პერმანენტული კონტროლი ლაბორატორიაში გაგზავნილი აქტების სიზუსტეზე.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

ინსპექტირება

- › სააგენტომ უზრუნველყოს ბიზნესოპერატორთა შერჩევის პროცესში გამოყენებული ბაზების დროულად დაზუსტება და ბაზაში არსებული ყველა ბიზნესოპერატორისათვის რისკის დონის განსაზღვრის პროცედურის განხორციელება.

- › მოხდეს შეფასებული ბიზნეს ოპერატორებისათვის ინსპექტირების შესაბამისი სიხშირეების განსაზღვრა ინსპექტირების არსებული რესურსების გათვალისწინებით.
- › გადაიხედოს და გაიზარდოს ერთი ინსპექტორის მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი გეგმიური ინსპექტირების მაჩვენებელი და მოხდეს ინსპექტირების ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობის ინსპექტორებით დაკომპლექტება.

მონიტორინგი

- › სააგენტომ მონიტორინგი განახორციელოს რისკზე დაფუძნებული მიდგომით და უზრუნველყოს რისკის შეფასების შედეგების მონიტორინგის საქმიანობაში გათვალისწინება.
- › სააგენტომ შეიმუშაოს მეთოდი შესამოწმებელი ბიზნეს ოპერატორების შესარჩევად, რითაც უზრუნველყოფს ბიზნეს ოპერატორების შესამოწმებელი ობიექტების რაიონების მიხედვით პროპორციულ მოცვას.

მომხმარებლებთან კომუნიკაცია

- › სააგენტომ უზრუნველყოს მომხმარებლების ინფორმირებულობა სააგენტოში ცხელი ხაზის არსებობის შესახებ. ჩაატაროს სარეკლამო კამპანია სასურსათო პროდუქტებში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს მომხმარებელმა, ვის უნდა დაუკავშირდეს და რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.
- › სააგენტომ უზრუნველყოს ცხელი ხაზის შეუზღუდავად ფუნქციონირება და მიღებულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება.

ბიბლიოგრაფია

კანონები

საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, 2012.

საქართველოსკანონი: „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული

ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდირიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“, 2014 წლის 11 დეკემბერი.

ბრძანებები და დადგენილებები

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება: „ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“,

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის N221 ბრძანება: „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდირიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდირიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესი“,

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილება: „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება: „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის N605 დადგენილება: „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N2-143 ბრძანება: „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N311/ნ ბრძანება: „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“

2011 წლის 15 აპრილის N36-3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის 6 ოქტომბრის N358-9 ბრძანება: „სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სოფლის მეურნეობის 2014 წლის 24 იანვრის მინისტრის N2 -19 ბრძანება: „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 2 თებერვლის N 2 – 25 ბრძანება: „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 2 თებერვლის ბრძანებაში N2-25 ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 5 მაისის N 2 – 129 ბრძანება: „სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2015 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულება;

სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება - საქართველოს ხელისუფლების მიერ - 2014 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, თბილისი, 2015.

ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების შეთანხმების მოთხოვნები სურსათის უვნებლობისადმი საქართველოში, 2015.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდემიოლოგიური ბიულეტენები, 2013, 2014, 2015 წწ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, სურსათის ძირითადი კანონი - სურსათის რეგულირება ევროკავშირში, 2013.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა საქართველოს ურბანულ ცენტრებში, 2015.

ევროკავშირის 2004 წლის 882/2004 რეგულაცია.

British Columbia Ministry of Health, Model core program paper: Food Safety, 2006.

IFC, Food Safety Inspections: Lessons Learned From Other Countries, 2010.

National audit systems network, Auditing effectiveness of official control system, 2014.

FAO, Assuring food safety and quality: guidelines for strengthening national food control systems, food and nutrition paper, 76.

EU Regulation, (EC) N 1829/2003

Codex Alimentarius, FAO, WHO, Working Principles for Risk Analyses for Practical Application by Governments, 2007.

ბმულები

www.nfa.gov.ge.

www.momxmarebeli.ge.

www.kvira.ge.

დანართი N 1

სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
02 ჯგუფი	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები
03 ჯგუფი	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები
04 ჯგუფი	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი
05 ჯგუფი	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი
10 ჯგუფი	პურეული მარცვლოვნები
12 ჯგუფი	ზეთოვანი მცენარეების თესლი და ნაყოფი; სხვა თესლი, ნაყოფი და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი
15 ჯგუფი	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები
16 ჯგუფი	მზა პროდუქტები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან ზღვის სხვა უხერხემლოებისაგან
21 ჯგუფი	კვების სხვადასხვა პროდუქტები

დანართი N 2

აუდიტის ჯგუფის მიერ შერჩეული ლაბორატორიული აქტების დოკუმენტური ანალიზი

სეს ეს კოდი	საქონლის დასახელება	გეგმით გათვალისწინებული კვლევა	ჩატარებული კვლევა	ჩაუტარებელი კვლევა
02 07	გაცივული ფრინველის ძვლებამოცლილ ი ხორცი	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; პათოგენური მიკროორგანიზმები მ.შ. სალმონელა, s.aureus, ნჩჯბ	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; პათოგენური მიკროორგანიზმები მ.შ. სალმონელა	s.aureus, ნჩჯბ
04 02	რძის ფხვნილი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ; სალმონელა	ლისტერია
16 01	ძეხვი	ნჩჯბ; s.aureus, სალმონელა	სალმონელა	s.aureus, ნჩჯბ
16 01	შებოლილი ძეხვი	ნჩჯბ; s.aureus, სალმონელა	ნჩჯბ; s.aureus	სალმონელა
04 04	რძის შრატის ფხვნილი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია	ნჩჯბ	სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია
04 07	სასურსათო კვერცხი	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, კადნიუმი, თუთია, ჰექსაქლორციკლოპექსანი, დ.დ.ტ და მისი მეტაბოლიტები, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები, ნჩჯბ,სალმონელა	
04 05	კარაქი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ
16 01	ძეხვი	სალმონელა, ნჩჯბ, s.aureus	სალმონელა	ნჩჯბ, s.aureus
02 07	ქათმის გაცივული ღვიძლი	ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი	სალმონელა	ნჩჯბ, s.aureus, ტეტრაციკლინის ჯგუფი
03 06	კრევეტები გაცივული	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია; სალმონელა, ლისტერია, ნჩჯბ, s.aureus	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია; სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ, s.aureus

02 07	გაყინული ქათამი	ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი	სალმონელა	ნჩჯბ, s.aureus, ტეტრაციკლინის ჯგუფი
02 02	კამეჩის გაყინული უძვლო ხორცი	სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, კადნიუმი, თუთია, ჰექსაქლორციკლოჰექსანი, დ.დ.ტ და მისი მეტაბოლიტები, მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები, ნჩჯბ,სალმონელა	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები;
04 06	ყველი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ
04 03	იოგურტი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
04 06	ხაჭო, ყველი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
02 03	ღორის გაყინული უძვლო კისერი	სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები	სალმონელა
05 04	დამარილებული ღორის ნაწლავი	სალმონელა	სალმონელა	
05 04	საქონლის ნაწლავი მშრალი	სალმონელა	სალმონელა	
05 04	ცხვრის დამარილებული ნაწლავები	სალმონელა	სალმონელა	
02 02	კამეჩის გაყინული ხორცი	სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინის ჯგუფი, მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები, ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
16 01	ძეხვი	ნჩჯბ, S.aureus	ნჩჯბ, S.aureus	
02 07	ქათამი გაყინული, ქათმის მკერდი, წიწილა გაყინული	მაფანძრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები, სალმონელა	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები
04 06	ხაჭო	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ნჩჯბ, სალმონელა, ტყვია, დარიშხანი	ლისტერია, ტეტრაციკლინი, პენიცილინი
16 01	შებოლილი ძეხვი	ნჩჯბ, S.aureus	ნჩჯბ, s.aureus	

03 03	პანგასიუსის სტეიკი და ფილე გაცინული	ლისტერია, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა	სალმონელა, ლისტერია	ტოქსიკური ელემენტები, ნჩჯბ, s.aureus
02 07	ქათმის გაცინული ბარკალი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია; სალმონელა; ტეტრაციკლინი, მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	
04 02	ნაღები	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ტყვია, დარიშხანი, პენიცილინი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
04 06	ყველი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ტყვია, დარიშხანი, პენიცილინი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
02 07	გაცინული ქათამი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	
04 02	მშრალი უცხიმო რძე	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ნჩჯბ, სალმონელა, ტყვია, დარიშხანი	ლისტერია, ტეტრაციკლინის , პენიცილინი
02 02	კამეჩის გაცინული ხორცი	ნჩჯბ, s.aureus, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; ნჩჯბ, სალმონელა	s.aureus
05 04	საქონლის მშრალი ნაწლავი	პათოგენები, მ.შ. სალმონელა;	სალმონელა	
02 07	გაცინული ქათამი	ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია,	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები

02 07	ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცი	მაფანმრ, ნჩჯზ, სალმონელა, s.aureus	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	s.aureus, ნჩჯზ
04 01	რძე	ნჩჯზ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ტყვია, დარიშხანი, ნჩჯზ, სალმონელა	ლისტერია, ტეტრაციკლინის , პენიცილინი
02 07	გაცივებული ქათამი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	
04 03	იოგურტი	ნჩჯზ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ტყვია, დარიშხანი, პენიცილინი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; ნჩჯზ, სალმონელა, ლისტერია	
04 01	რძე	ნჩჯზ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია, დარიშხანი	ტყვია, დარიშხანი, პენიცილინი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; ნჩჯზ, სალმონელა, ლისტერია	
02 03	ღორის უძვლო კისრის ხორცი გაყინული	ნჩჯზ, s.aureus, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები, ნჩჯზ, სალმონელა	s.aureus
02 07	ქათმის გაცივებული ნახევარფაბრიკატ ი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	

02 07	გაცივებული ქათამი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	
02 07	ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცი	მაფანმრ, ნჩჯბ, სალმონელა, s.aureus	სალმონელა, მეზოფილური აერობული და ფაკულტატორული ანაერობული მიკროორგანიზმები	s.aureus, ნჩჯბ
02 07	გაყინული ქათამი	მაფანმრ, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა; მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკროორგანიზმები	
02 09	ღორის გაყინული ქონი	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, რკინა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები;	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, რკინა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები;	
04 01	რძე	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია	სალმონელა	ნჩჯბ, ლისტერია, ტეტრაციკლინის ჯგუფი, პენიცილინი, ტყვია
03 03	გაყინული თევზი	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ლისტერია, ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა	სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ლისტერია, ნჩჯბ, s.aureus
02 07	ქათმის გაყინული ღვიძლი	ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფი	სალმონელა	ნჩჯბ, s.aureus, ტეტრაციკლინის ჯგუფი
02 03	ღორის უძვლო კისერი(გაყინული)	სალმონელა, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები	სალმონელა	ტეტრაციკლინის ჯგუფი

03 03	პანგასიუსის სტეიკი	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ლისტერია, ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა	სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი , სპილენძი, თუთია, ლისტერია, ნჩჯბ, s.aureus
04 05	კარაქი	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	ნჩჯბ, სალმონელა, ლისტერია	
02 07	გაყინული ქათმის ფარში	სალმონელა, ნჩჯბ, s.aureus, ტეტრაციკლინის ჯგუფი	სალმონელა	ნჩჯბ, s.aureus, ტეტრაციკლინის ჯგუფი
03 02	გაცივებული თევზი (Sea bass)	ლისტერია, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, სალმონელა, ლისტერია, ნჩჯბ, S.AUREUS	
03 02	გაცივებული თევზი (Sea bream)	ლისტერია, ტყვია, დარიშხანი, კადნიუმი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, თუთია, ნჩჯბ, s.aureus, სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, სპილენძი, თუთია, სალმონელა, ლისტერია, ნჩჯბ, S.AUREUS	
02 02	კამეჩის გაყინული ხორცი	ნჩჯბ, s.aureus, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები; სალმონელა	ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ტეტრაციკლინი, მაფანმრ, სალმონელა, ნჩჯბ, ლისტერია	

